ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 17 დეკემბერი, 2019 №298 (8252) ფასი: 60 თეთრი

პროკურორი ზვიად გუბელაძე: „ქიბარ ხალვაშის, ნინო ნიჟარაძისა და კობა ბექაურის დაკითხვას დაცვის მხარე დარღვევით ითხოვს“



გვ.5

17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები




ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი

# „14 დეკემბერს ვნახე პედაგოგი, რომელსაც აქციაზე 3 ლარი მისცეს“



გვ.3

## გურამ ჩალაგაშვილი: „ივანიშვილი დაჭერებით ვერ დაგვაშინებს“



## ლაშა ჩხარტიშვილი: „რას ვიფიქრებდი, რომ უგულავას და ბოკერიას დაცვა მომიწევდა!“



გვ.3

„ოცნება“ ნაციონალების ჯალათებს ეყრდნობა“

## გიგა ბოკერია: „ჩვენი ამოცანა ივანიშვილის და მისი ხროვის ხელისუფლებიდან ჩამოცილებაა“

„მე არ ვარ პირველი, ვისი პოლიტიკური დევნაც ივანიშვილმა დაიწყო, ეს ბრიყვობა და ასლან აბაშიძის გზაა“



გვ.3

## თინა ბოკუჩავამ არჩილ თალაკვაძეს მონათა ბაზრის დირექტორი უწოდა



გვ.4

ბიუროს სხდომა ცემა-ტყეპის ზღვართან მივიდა



გვ.2

## სალომე ზურაბიშვილი: „სალობიეშიც ვიყავი და სხვა თავშეყრის ადგილებშიც“



## „14 დეკემბერს დაგეგმილი იყო „ოცნების“ და ნაცმოძრაობის შეჯახება“

გვ.4

ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 შალვა თადუმაძე უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატის თავმჯდომარედ აირჩიეს

5 ფონიჭალაში 2 მანქანა დაეჯახა ერთმანეთს — 2 ადამიანი დაშავდა

2 თამარ ჩუგოშვილი: „ლელოსთან“ კონსულტაციები არ მქონია“

5 თბილისის პოლიციაში კობა ლურსმანაშვილი და ენძელა მაჭავარიანი გამოიკითხნენ

# შალვა თადუმაძე უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატის თავმჯდომარედ აირჩიეს

საქართველოს უზენაეს სასამართლოში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა პლენუმის სხდომა გაიმართა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" უზენაესი სასამართლოდან აცნობეს, სხდომას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე მზია თოდუა უძღვებოდა.

პლენუმის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო საორგანიზაციო საკითხების განხილვა, კერძოდ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკასაციო პალატებში განაწილების საკითხი, მოსამართლეთა შორის სასამართლო საქმეთა განაწილების საკითხი და უზენაესი სასამართლოს საკასაციო საქმეთა პალატების თავმჯდომარეების არჩევის საკითხი.

პლენუმის სხდომას მიმდინარე წლის 12 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ ახლად არჩეული 14 მოსამართლე ესწრებოდა.

სხდომის მონაწილეებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გააცნო უზენაესი სასამართლოს მიერ 2019 წელს განხილული და განხილვის პროცესში მყოფი საქმეების სტატისტიკა და გაწეული სამუშაო.



მან მადლობა გადაუხადა კოლეგებს მოსამართლეთა რიცხოვნული სიმცირის მიუხედავად, მათი პროფესიული და კოლეგიალური თავდადების გამო და აღნიშნა, რომ ამ თავგანწირვისა და თანადგომის გარეშე უზენაესი სასამართლო საქმეთა მოჭარბებული რაოდენობის განხილვას თავს ვერ გაართმევდა.

როგორც მზია თოდუამ განაცხადა, 2019 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამივე პალატაში განხილული და დასრულებული იქნა 3017 საქმე, მათ შორის ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში – 843, სამოქალაქო საქმეთა პალატაში – 1609, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში – 565. მიმდინარე წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში წარმოებაშია 1212 საქმე, სამოქალაქო საქმეთა პალატაში 1290 საქმე და სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში 877 საქმე, სულ სამივე პალატის წარმოებაში 3379 საქმე ირიცხება.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა რაოდენობა უზენაეს სასამართლოში განისაზღვრებოდა 10 მოსამართლით 2019 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით. 13 დეკემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მოსამართლეთა კანდიდატებისთვის კენჭისყრის შემდგომ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებას შეუდგა 14 მოსამართლე, მათ შორის 2 უკვე მოქმედი ადმინისტრაციულ საქმეთა პალატიდან.

პლენუმის გახსნას ესწრებოდა სახალხო დამცველის საპარლამენტო მდივანი, რომელმაც, მას შემდგომ, რაც პლენუმმა კენჭი უყარა სხდომის დახურვას, დატოვა სხდომათა დარბაზი.

მზია თოდუამ ასევე გაამახვილა ყურადღება სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესებისა და ამაღლების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლეები მზად არიან, პროფესიული მხარდაჭერა და თანადგომა გაუწიონ ახლად დანიშნულ მოსამართლეებს საკითხის გაძლიერების კუთხით.

დღის წესრიგის პირველ და მესამე საკითხთან დაკავშირებით პლენუმმა კენჭი უყარა მოსამართლეთა გამწესებას უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატებში და პალატების თავმჯდომარეების არჩევას, რის შედეგადაც პალატების თავმჯდომარეები და შემადგენლობა ასე განისაზღვრა:

სისხლის სამართლის საკასაციო პალატის თავმჯდომარედ პლენუმის მიერ ერთხმად იქნა არჩეული მოსამართლე შალვა თადუმაძე. ხოლო პალატის შემადგენლობაში გამწესდნენ მოსამართლეები: გიორგი შავლიაშვილი, მამუკა ვასაძე, მერაბ გაბინაშვილი, ლალი ფაფიაშვილი.

სამოქალაქო საქმეთა პალატის მოქმედ შემადგენლობას (თავმჯდომარე მზია თოდუა), დაემატნენ: მირანდა ერემაძე, თამარ ზამბახიძე, გიორგი მიქაუტაძე, ლევან მიქაბერიძე, ვლადიმერ კაკაბაძე.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა მოსამართლე ნინო ქადაგიძე, რომელმაც შეცვალა მოსამართლე ვასილ როინიშვილი, რომელსაც უფლებამოსილების 10 წლიანი ვადა ეწურება მიმდინარე წლის 18 დეკემბერს, ხოლო მოსამართლეებად გამწესდნენ მაია ვაჩაძე, ნუგზარ სხირტლაძე, ნინო ქადაგიძე, ქეთევან ცინცაძე, ალექსანდრე წულაძე.

მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილების საკითხთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს პლენუმმა დაადგინა, რომ უზენაეს სასამართლოში შემოსული ახალი საქმეები განაწილდება ახლად დანიშნულ მოსამართლეებზე, ხოლო საქმეთა რაოდენობის გათანაბრების შემდეგ, უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლეზე თანაბრად ელექტრონული განაწილების მიხედვით გადანაწილდება საქმეები.

# სალომე ზურაბიშვილი: „სალობიეშიც ვივლი და სხვა თავშეყრის ადგილებშიც"

– პრეზიდენტი, რომელიც არ არის არც ერთი პარტიის წევრი, პოლიტიკური პარტიების მოსაზრებებში არ უნდა ჩაერიოს.

ასე უპასუხა ჟურნალისტების შეკითხვას საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, რომელიც საარჩევნო სისტემას შეეხებოდა.

ზურაბიშვილმა არ დააკონკრეტა, რომელი საარჩევნო სისტემის მომხრეა.

– მე, როგორც პრეზიდენტს, არ მაქვს უფლება, ჩემი პირადი მოსაზრება მოვახვიო თავს ან საზოგადოებას, ან პოლიტიკურ პარტიებს. მე ვისურვებდი, როგორც ამ საკითხზე, ისევე ბევრ სხვა საკითხზე მოინახოს რაიმე გამოსავალი, ეს არის საჭირო ქვეყნის სტაბილურობისთვის, – განაცხადა ზურაბიშვილმა.



მანვე საკუთარი ქცევის წესებზე ისაუბრა.

– სადაც საჭიროა, სალობიეშიც ვივლი და სხვა თავშეყრის ადგილებშიც ძალიან თავისუფლად, ფეხით სიარულს გავაგრძელებ, – აღნიშნა პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა.

ის ამბობს, რომ მოსახლეობისგან უნდობლობა არ უნახავს.

– მე არ მინახავს საკუთარი მოსახლეობის უნდობლობა. მე დავდივარ ქუჩაში, დავდივარ რეგიონებში, ვხვდები ხალხს დიდი დოზით და დიდი დოზით სიყვარულით. ჩემთვის საზომი, თუ როგორ აფასებს მოსახლეობა თავის პრეზიდენტს, ეს არის და არა ხუთკაციანი გამოსვლები.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტსა და ხალხს შორის არ გაწყდეს ეს ურთიერთობა. სადაც საჭიროა, სალობიეშიც ვივლი და სხვა თავშეყრის ადგილებშიც ძალიან თავისუფლად. ფეხით სიარულს გავაგრძელებ და ვიქნები ჩემ ხალხთან ერთად, სადაც საჭიროა და როგორც საჭიროა, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

# თამარ ჩუგოშვილი: „ლელოსთან" კონსულტაციები არ მქონია

ყოფილი პირველი ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ „ლელოსთან" კონსულტაციები ჰქონდა.



როგორც მან ჟურნალისტებთან განმარტა, ჯერჯერობით არც მას და არც სხვა დამოუკიდებელ დეპუტატებს კონსულტაციები არც ერთ ძალასთან არ ჰქონიათ. რაც შეეხება საპარლამენტო ცხოვრებას, დეპუტატი ამბობს, რომ ფრაქციის შექმნას არ გამორიცხავს.

– გუშინ გავრცელებულ არასწორ ინფორმაციაზე გეტყვით, რომ არაფერს ეფუძნება აბსოლუტურად. მთელი ამ ხნის განმავლობაში არც მე და არც ჩემს კოლეგებს არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან და არც საზოგადოებრივ მოძრაობასთან კონსულტაციები არ გვქონია ამ დრომდე და, შესაბამისად, ინფორმაცია, რომელიც გავრცელდა, არ ეყრდნობოდა რეალურ ინფორმაციას.

ეს ჭორის გავრცელების მიზანს ისახავდა მხოლოდ და მხოლოდ.

ჯერჯერობით, კონკრეტულ გეგმებზე საუბრისგან თავს შევიკავებთ, ამ წლის განმავლობაში ვაპირებთ, ან როგორც დამოუკიდებელი დეპუტატები, ან როგორც ფრაქცია, მუშაობის გაგრძელებას პარლამენტში, – განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

# უმრავლესობა ერეკლე კუხიანიძის განცხადებაზე იმსჯელებს

საკრებულოს თავმჯდომარის, გიორგი ტყემალაძის განცხადებით, დღეს, 17 დეკემბერს, გაიმართება უმრავლესობის სხდომა, კონსულტაციები და ამის შემდეგ გახდება ცნობილი, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ერეკლე კუხიანიძესთან დაკავშირებით.



ამასთან, გიორგი ტყემალაძე ყველას მოუწოდებს, თავი შეიკავონ ისეთი განცხადებებისგან, რომელიც ერეკლე კუხიანიძემ გააკეთა.

– ეს განცხადება იყო ემოციური, არაკორექტული და, შესაბამისად, მე მინდა ვთხოვო ყველას, თავი შეიკავონ, განსაკუთრებით ამ პერიოდში, ზოგადად ასეთი განცხადებების გაკეთება არის მიუღებელი.

ჩვენ გვექნება უმრავლესობის სხდომა, კონსულტაციები და რა გადაწყვეტილებები იქნება მიღებული, ამას შეიტყობთ, – განაცხადა ტყემალაძემ.

მისივე თქმით, მმართველი გუნდი ძალისხმევას არ იშურებს იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლება.

შეგახსენებთ, საკრებულოს დეპუტატის, ერეკლე კუხიანიძის თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით ოპოზიციის წევრებმა და მოქალაქეებმა თბილისის საკრებულოსთან საპროტესტო აქცია გამართეს. მათი პროტესტის მიზეზი კუხიანიძის ის „ფეისბუქ პოსტია", რომელიც დეპუტატმა საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ დაკავებულ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილთან დაკავშირებით დაწერა.



# სოფო კილაძემ ციხეში ბესიკ თამლიანი და ზურა ბუდაღაშვილი მოინახულა

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ სოფო კილაძემ გლდანის მერვე პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი 20 ივნისის საქმეზე დაკავებული ბესიკ თამლიანი და ზურა ბუდაღაშვილი მოინახულა.

სოფო კილაძე გლდანის ციხეში ბრალდებულების დედებთან და ადვოკატთან, ვახტანგ იაშვილთან ერთად მივიდა, თუმცა დაკავებულებთან შეხვედრა მხოლოდ სოფო კილაძემ და ადვოკატმა შეძლეს.



ჟურნალისტების კითხვაზე, თუ რატომ არ შეუშვეს დედები ბრალდებულების მოსანახულებლად, სოფო კილაძემ განაცხადა, რომ „კანონის მიხედვით რა პროცედურებიცაა, ის პროცედურები განხორციელდება ამ ადამიანებზეც".

რაც შეეხება დაკავებულების ჯანმრთელობას, კილაძის ინფორმაციით, მათი მდგომარეობა ნორმალურია.

– მოვინახულეთ ეს ორი ახალგაზრდა. მათი მდგომარეობა არის ნორმალური. ერთს უნდოდა სხვა საკანში გადასვლა და ჩვენ ვთხოვეთ ადმინისტრაციას მისი სხვა საკანში გადაყვანა. ის არის მარტო საკანში და, როგორც ამბობს, ხმაური აწუხებდა.

ხვალ არის სასამართლო და ვიმუშავებთ, რომ მათი უფლებები იყოს დაცული. არაფერს უჩივიან ჯანმრთელობის კუთხით. ჩემთან ერთად იყო ასევე ადვოკატიც, – განაცხადა კილაძემ.

# „საუზმე და პიკეტი გადაჯაჭვული ცნებები გახდა ჩვენთვის"

## 19 დეკემბერს ოპოზიცია პარლამენტის პიკეტირებას გეგმავს



ხუთშაბათს, 19 დეკემბერს, ოპოზიციის წარმომადგენლები პარლამენტის პიკეტირებას აპირებენ.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს" ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი უგულავამ განაცხადა.

მან ლეიბორისტული პარტიის ოფისში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა შეხვედრის შემდეგ ოპოზიციის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

– შევთანხმდით ფორმულირებაზე, რომ რაც უფრო ხისტი იქნება ხელისუფლების პოზიცია, მით უფრო მეტი იქნება ოპოზიციის ინტეგრაცია. ამ კვირას ჩანიშნულია პარლამენტის რიგგარეშე სხდომები და ჩვენ ხუთშაბათს ვაპირებთ მოვაწყოთ პიკეტი და არ მივცეთ შესაძლებლობა მზაკვრული საქმეების კეთების.

პარასკევს ჩანიშნულია მოლაპარაკებების ბოლო რაუნდი ამ წელს და ჩვენ ველით, თუ მოვიდა გონს უმრავლესობა, მოვიდეს თავისი შემხვედრი წინადადებით, ჩვენი წინადადებები მათთვის ცნობილია და შემდეგ უკვე შაბათს და კვირას ჩატარდება მანიფესტაციები ზუგდიდსა და ბათუმში. ეს არის ამ კვირის გეგმა, – განაცხადა უგულავამ.

მანვე განაცხადა, რომ პიკეტი ხუთშაბათს დილიდან იქნება.

– პიკეტი იქნება დილიდან, როგორც არის ხოლმე, საუზმე და პიკეტი ერთმანეთზე გადაჯაჭვულ ცნებებად იქცა ჩვენთვის, ოპოზიციისთვის, ხაში კი უმრავლესობისთვის, რადგან 6 საათზე შედიან ხოლმე. პარასკევს, რამდენადაც ვიცი, 5 საათზე ჩანიშნულია მოლაპარაკებები, შაბათს იქნება მანიფესტაცია ზუგდიდში და კვირას იქნება ბათუმში, – აღნიშნა უგულავამ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „14 დეკემბერს ვნახე პედაგოგი, რომელსაც აქციაზე 3 ლარი მისცეს“

## გურამ ჩალაგაშვილი: „ივანიშვილი დაჭერებით ვერ დაგვაშინებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **გურამ ჩალაგაშვილი** პასუხობს.

***– ბატონო გურამ, ივანიშვილმა ოპოზიციური ლიდერების დაჭერები დააანონსა. გიგა ბოკერიას გაუცოცხლეს ძველი საქმე. ის პროკურატურაში დაიბარეს დაკითხვაზე. ასევე თქვენი პროცესიც არ გამართულა. რამდენჯერ უნდა დაიჭირონ და გამოუშვან ეს ლიდერები?***

– ტოტალური რეპრესიები მიმდინარეობს. ყველა ოპოზიციონერი ლიდერის მოშორების სურვილი აქვს ივანიშვილს და ამ ხელისუფლებას და ამას ყველა ხედავს.

წარმოუდგენელია, რომ ადამიანები ასე ყოველ კვირაში ერთხელ დაიჭირო და გამოუშვა. 8 წლის წინანდელი საქმეები ამოუქექეს გიგა ბოკერიას და ბათუ ქუთელიას. ხომ ვნახეთ, ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებით რაც მოხდა. ხანდაზმულობის გასვლამდე ორი დღე იყო დარჩენილი და ისეთ საქმეზე წარუდგინეს ბრალი. პატიმრობაში მყოფი ადამიანი თავიდან დაიჭირეს.

გვაქვს ინფორმაცია, რომ ყველა პოლიტიკური ლიდერის საქმიანობას სწავლობენ, სადმე გადაცდომა ხომ არ აქვთ, ფეხი ხომ არ გადაუბრუნდათ სადმე და ა.შ.

***– თქვენი სასამართლო პროცესი 24 დეკემბერს ჩაინიშნა, რა მოლოდინი გაქვთ?***

– არანაირი მოლოდინი არა მაქვს. მოსამართლის გადაწყვეტილება იქნება მსგავსი, რა გადაწყვეტილებებიც აქამდე გამოჰქონდა.

***– ოპოზიცია ამბობს, რომ 14 დეკემბერს „ოცნებამ“ ხალხი ძალით მიიყვანა აქციაზე. „ოცნება“ ამას უარყოფს.***

– აბა, რას იტყვიან?! მე თავად ვნახე იქ კონკრეტული ადამიანი, რომლის სახელს და გვარს ვერ ვიტყვი, პედაგოგია ეს ადამიანი, ნაძალადევის რაიონში ასწავლის. ის იყო ძალიან შეურაცხყოფილი, როდესაც მას 3 ლარი მისცეს იმისთვის, რომ იგი მისულიყო აქციაზე. 2 ლარი გზის ფულად და 1 ლარი, რომ 1 ბოთლი წყალი ეყიდა. აი, ამ დონეზე არიან დასულები, ადამიანებს ასე იგდებენ მასხრად.

რაიონიდან ჩამოყვანილებს ზოგს 50, ზოგს 70 და ზოგსაც 100 ლარი მისცეს. ჯამში, 7 მილიონი დაუჯდათ ეს აქცია.

***– ოპოზიციურ ერთობაში რა ხდება. კიდევ ერთი რაუნდი იყო უცხოელ დიპლომატებთან შეხვედრის. რაზე ჩამოყალიბდით და თუ გაქვთ***



***ერთიანი სამოქმედო გეგმა? საუბარია, რომ შიგნითაც ქაოტური სიტუაცია გაქვთ. ასეა?***

– ოპოზიციაში არანაირი ქაოტური სიტუაცია არ არის. კვირას შეხვედრის კიდევ ერთი რაუნდი შედგა და საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული ვერ იქნა.

პარასკევს გაიმართება კიდევ ერთი რაუნდი. ვფიქრობთ, რომ სწორედ პარასკევს იქნება საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული. ივანიშვილს აუცილებლად მოუწევს დათმობაზე წამოსვლა. საარჩევნო სისტემაში ცვლილებები უნდა შევიდეს და უნდა შეიცვალოს ეს ყველაფერი. თუ არ შეიცვლება და იგი ჯიქურ გააგრძელებს მსვლელობას იგივე კურსით, იგი მიიღებს იმ არჩევნებს, რომელსაც არ ელოდება.

ყველას ვერ დაიჭერენ, ეს ქვეყანა არ არის ჩალით დახურული. ჩვენ გვყავს ძალიან ძლიერ დასავლელი პარტნიორები, რომლებიც სათქმელს აუცილებლად იტყვიან და ივანიშვილს მიუჩენენ თავის ადგილს. ასე რომ, ივანიშვილო, არაფერი გამოგივა, ვერც ამ საქმეების აღძვრებით შეგვაშინებ.

არ არის პრობლემა, 15 დღე იქნება თუ 10 დღე, გამოგვკეტონ იზოლატორში. გამოხვალ და გაათმაგებული ძალით შეუტევ ამ ხელისუფლებას.

არ გავახარებთ ივანიშვილს და არ წავალთ ამ ქვეყნიდან. არც იოცნებოს.

ეს ქვეყანა ჩვენია.

# გიგა ბოკერია: „ჩვენი ამოცანა ივანიშვილის და მისი ხროვის ხელისუფლებიდან ჩამოცილებაა“

## „მე არ ვარ პირველი, ვისი პოლიტიკური დევნაც ივანიშვილმა დაიწყო, ეს ბრიყვობა და ასლან აბაშიძის გზაა“

იაგო ნაცვლიშვილი

„ევროპული საქართველოს“ ლიდერი გიგა ბოკერია საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამოკითხვაზე დაიბარა. საქმე ეხება 7 წლის წინანდელ ვითარებას, როდესაც გიგა ბოკერია უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობდა. გიგა ბოკერია პროკურატურაში არ მივიდა და გუშინ, 16 დეკემბერს, მისი გამოკითხვა სასამართლოში მოხდა, მაგისტრ მოსამართლესთან.

არის თუ არა ეს გიგა ბოკერიას პოლიტიკური განეიტრალების მცდელობა? აქვს თუ არა მოლოდინი, რომ ივანიშვილი გაბედავს და ყველას დაიჭერს? ხომ არ არის ბუტაფორია ხელისუფლებისა და ოპოზიციის დიალოგის ფორმატი? შესაძლებელია თუ არა მიხეილ სააკაშვილის გარეშე რეალური ცვლილებები? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში **გიგა ბოკერია** საუბრობს.

***– გამოკითხვაზე დაგიბარეს 7 წლის წინანდელ საქმესთან დაკავშირებით. აფასებთ თუ არა ამ გადაწყვეტილებას იმგვარად, რომ იმის მცდელობაა, რათა გაგანეიტრალონ პოლიტიკურად?***

– ჩემი აზრით, ამაში განსაკუთრებულად საინტერესო ის არის, რომ ეს საქმე ბოლო 5 წელია, არ გახსენებიათ და არა ის, როდის დაიწყეს საქმის ძიება. ეს უფრო აღსანიშნავია და არა ის, რა პერიოდიდან დაწყებული საქმეა.

განეიტრალება რამდენად ზუსტი ტერმინია, არ ვიცი, მაგრამ ზოგადად ივანიშვილი და „ქართული ოცნების“ „ბანდა“ არის ამ თამაშში ჩართული. მე არ ვარ არც პირველი, არც მეორე, არც მესამე და არც მეოთხე პოლიტიკური ჯგუფების თუ აქტიური ადამიანების ან სამოქალაქო ჯგუფების წარმომადგენლებს შორის, ვის მიმართაც პოლიტიკური დევნა დაიწყეს.

ეს არის ამ საერთო სურათის ნაწილი. ხალხი ციხეში ზის, ზოგს ბრალი აქვს წაყენებული. მაგალითად, მელიასა და უგულავას. უგულავას შემთხვევა ცალსახად პოლიტიკური დაკვეთა და



სამარცხვინო ფორმაა. უამრავი სხვა შემთხვევაა. ამიტომ, ამ ყველაფერს მე განვიხილავ ამ პროცესის ნაწილად.

საქმე ჩემს პერსონაში კი არ არის, არამედ საქმე არის იმ კურსში, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა აირჩია იმისთვის, რომ თავი გადაირჩინოს. ეს არის ძალიან მცდარი და ბრიყვული ილუზია მისი მხრიდან. ასეთი ნაბიჯები საზოგადოებაში არსებულ ლეგიტიმურ ბრალს მის მიმართ, რაც არსებობს, ვერ მოხსნის. განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც მან საზოგადოება გადააგდო და ყველას უთხრა, ფეხებზე მკიდიხართო. ეს ამ პროტესტს არ ჩააქრობს. ეს არის ასლანის [აბაშიძის] მაგვარი გზა. ეს არის მისი არჩევანი.

თუ გონს არ მოეგება, მაშინ ამ ნაბიჯებით, მათ შორის ჩემთან დაკავშირებული კი არა, ყველა დანარჩენით, თვითონ მოარყევს თავის ხელისუფლებას. თუ გონს მოეგება, მაშინ მოუწევს ამ შეურაცხყოფის უკან წაღება და ის დამარცხდება მშვიდობიან და სამართლიან პროპორციულ არჩევნებში.

***– თქვენ, ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს, რა მოლოდინი გაქვთ? წავა ივანიშვილი იმაზე, რომ ყველანი ჩაგსვათ ციხეში?***

– მეცინება ამაზე. მე არანაირი მოლოდინი არ მაქვს. მე, როგორც პოლიტიკოსსა და მოქალაქეს, მაქვს ამოცანა და მიმაჩნია ის, თუ რა არის საჭირო ჩვენი სახელმწიფოსათვის. ამოცანაა, რომ ეს სამარცხვინო ლიდერი და მთელი ეს ხროვების ბანდა ჩამოვაცილოთ ქვეყანას, ოღონდ ნაკლები ზიანის მოტანით ქვეყნისთვის.

ამიტომ არის სასურველი პროპორციული და მშვიდობიანი არჩევნები. ამისთვის უნდა იყოს წნეხი ქვეყნის შიგნით და წნეხი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. რაც უფრო გაღრმავდება ეს კრიზისი, მით უფრო იზოლირებული იქნება ივანიშვილი და მისი გუნდი. თუ ის არ მოეგება გონს და გააგრძელებს ამ უტიფრობას, მისი ხელისუფლების ბედი კიდევ უფრო ტრაგიკული იქნება.

***– რა გზავნილებით ჩამოვიდნენ ოპოზიციის ლიდერები აშშ-დან, რა განწყობაა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანაში?***

– იცით, რა? ეს კითხვა მათ უნდა დაუსვათ, ვინც იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. არასწორი იქნება, რომ მათ მაგივრად მე ვილაპარაკო. რა განწყობა აქვთ საქართველოს მეგობრებს, ჩვენს დასავლელ პარტნიორებს, ეს, მე მგონი, ძალიან ნათლად გამოჩნდა და ამას არ სჭირდება სპეკულაცია.

საქართველოს მეგობარი ქვეყნების საელჩოებმა გაავრცელეს ერთობლივი განცხადება, რაც მკაფიო გზავნილია იმის თაობაზე, რომ ეს კრიზისი ხელისუფლების მიერ არის შექმნილი და, პირველ რიგში, ხელისუფლებამ უნდა გადადგას ნაბიჯი ამ კრიზისის განსამუხტად.

ეს არის გზავნილი ივანიშვილის მიმართ და შეხვდნენ ივანიშვილსაც. ამის შემდეგ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების უვადოდ არჩევის საკითხზეც გაკეთდა საქართველოს მეგობრებისგან ძალიან მკვეთრი და მკაფიო განცხადებები ჩემი აზრით.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ლაშა ჩხარტიშვილი: „რას ვიფიქრებდი, რომ უგულავას და ბოკერიას დაცვა მომიწევდა!“

## „ოცნება“ ნაციონალების ჯალათებს ეყრდნობა“

ნათია ხურცილავა

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი **ლაშა ჩხარტიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ოპოზიცია საკრებულოს უმრავლესობის დეპუტატის კუხიანიძის გადადგომას ითხოვს ცნობილი პოსტის გამო, რომელიც მან ვაჟა გაფრინდაშვილთან დაკავშირებით დაწერა. „ქართული ოცნება“ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს?***

– ერეკლე კუხიანიძემ არათუ თანამდებობა, საერთოდ საკრებულო უნდა დატოვოს. პარტიიდანაც უნდა გარიცხონ. თუმცა, მე არც ერთის და არც მეორეს მოლოდინი არ მაქვს. ის, რაც იკადრა უტიფარმა კუხიანიძემ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკის გაგრძელებაა. ნორმალურ სახელმწიფოში კუხიანიძესთან მიმართებაში გამოძიებაც კი დაიწყებოდა. უნდა გაირკვეს, მისი მოღალატეობრივი განცხადება სულით მონობის შედეგია თუ კონკრეტული ინტერესის, მაგალითად, რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირის, მაგრამ ვინღა უნდა გამოიძიოს, როდესაც ივანიშვილია ამ ქვეყანაში პროკურორიც, მოსამართლეც, გამომძიებელიც.

***– რამდენად ადეკვატურია ხელისუფლების ძალისხმევა ვაჟა გაფრინდაშვილის დასახსნელად?***

– ივანიშვილის ხელისუფლების პოზიცია კარგად გამოიხატა პარლამენტის სხდომათა დარბაზში. ჩასვრილის პოზიცია აქვს მას ყველა საქმეში, მით უფრო, რუსეთთან ურთიერთობაში.

როდესაც საქმე ეხება საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვას, შეუძლებელია, გესმოდეს „ქართული ოცნების“ პოზიცია, რადგან მოღალა-



ტეობრივია მათი პოზიცია. თუნდაც საერთაშორისო არენაზე ხომ შეიძლება უფრო მეტი გაკეთდეს ამ მიმართულებით?! ამ ყველაფრის სანაცვლოდ ე.წ. რუსული კულტურის ცენტრის გახსნაზეა საუბარი.

***– ოპოზიციის ლიდერების პროკურატურაში დაბარებაზე მინდა გკითხოთ. ამჯერად გიგა ბოკერიაზე განახლდა ძიება. თქვენ ცოტა ხნის წინ დაკავებული იყავით. შეიძლება ეს პროცესი გაგრძელდეს?***

– ეს ყველაფერი კარგად ნაცნობი სპექტაკლია. ეს ოპერა ჩვენ უკვე ნანახი გვაქვს. ივანიშვილი თავის გადარჩენას ცდილობს ყველა ხერხით. მათ შორის ამ ხერხით, რომ აღძრავს ყველა ლიდერზე საქმეს, რომ ყველას დაიჭერს, ყველას ჩასვამს ციხეში. ივანიშვილი ახლა ბოლო სტადიაშია, ამიტომ, ძალიან სახიფათოა. ამ ფაზაში რეპრესიები ივანიშვილის მხრიდან გაძლიერდება, ამას ჩვენ ველოდებით. ჩემთვის, მაგალითად, რიგით მე-12 პოლიტპატიმრობა იყო.

ოპოზიციის ლიდერებზე საქმეების აღძვრაც ამ ერთიანი კამპანიის ნაწილია. რაღა საარჩევნო წელს გაახსენდა წინა ხელისუფლების დარღვევები, როდესაც მისი ძალაუფლების ბოლო ჟამი დადგა?!

არასდროს მიფიქრია, რომ ოდესმე გიგი უგულავას და გიგა ბოკერიას სოლიდარობა მომიწევდა, მაგრამ პოლიტიკური რეპრესიები აშკარაა. რა მნიშვნელობა აქვს, ამ რეპრესიების ავტორი ბიძინა ივანიშვილი იქნება თუ მიხეილ სააკაშვილი?!

უგულავას შემთხვევაში საერთოდ ტრაგიკომიკური სიტუაცია გვაქვს. ჩემი დამოკიდებულება გასაგებია, მაგრამ არავის აქვს უფლება ფიზიკური ანგარიშსწორების, იმ შიშის დამკვიდრების, რასაც ივანიშვილის ცდილობს. თითქოს წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებს ქუჩაში უსწორდებიან. უგულავას ფიზიკურად გაუსწორდნენ, თუმცა, პირიქით, მას აბრალებენ ძიუდოს ორგზის ჩემპიონისა და ევროპის ვიცე-ჩემპიონის ცემას. თან პროკურატურა ამბობს, ვიდეოკადრებს ვერ ამოვიღებთო.

ასეთი აღვირახსნილი რეპრესია წინა ხელისუფლებასაც შეშურდებოდა, ისინი ფუთავდნენ მაინც. ამიტომ ვამბობ, რომ ეს მართლაც კულმინაციაა.

ამას წინათ ოპოზიციის ლიდერები დიპლომატებს შევხვდით რეპრესიებზე სასაუბროდ: აღმოჩნდა, რომ ვინც ამ შეხვედრას ვესწრებოდით, აბსოლუტურად ყველა ან დაჯარიმებული იყო, ან ფიზიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი იყო, ან სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული და პასპორტი ჰქონდა ჩამორთმეული, ან ჩემსავით ახალი გამოსული იყო პატიმრობიდან.

ახლა, წინასაარჩევნოდ, ბიძინა ივანიშვილი ცდილობს თვითგადარჩენას სწორედ ასეთი რეპრესიებით, მაგრამ სინამდვილეში ეს მას კი არ გადაარჩენს, უფრო და უფრო ღრმად ჩაფლობს ჭაობში.

ეს გაფრთხილება ძალიან ნაცნობია, თუნდაც წინა ხელისუფლების მაგალითზე შემიძლია ეს გითხრათ. უკვე გასასამართლებელი აღარავინ დარჩა ამ ქვეყანაში.

ივანიშვილი და „ქართული ოცნება“, რომელიც ძირითადად ნაციონალური მოძრაობის ჯალათებს ემყარება, არაფრით განსხვავდება წინამორბედისგან. ზოგი მიმართულებით გაასწრო კიდეც. აქედან გამომდინარე, მათი გასასამართლებელი აღარავინ არის.

სამართლიანი სასამართლოს პირობებში, რომელიც მომავალში შეიქმნება და რომელსაც მრავალპარტიული პარლამენტი შექმნის, შეიძლება იყოს საუბარი მოქმედი, მისი წინამორბედი თუ ნებისმიერი ხელისუფლების მაღალჩინოსნების დანაშაულებებზე.



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# „14 დეკემბერს დაგეგმილი იყო „ოცნების“ და ნაცმოძრაობის შეჯახება“

## მირიან მირიანაშვილი: „არ გამოვრიცხავ ბოკერიას სამართლებრივ დევნას“

მარიამ მჭედლიშვილი

უკიდურესად დაძაბული და ხელოვნურად გამძაფრებული პოლიტიკური ვითარება ამ ეტაპზე ჩაცხრა. რა იყო დაგეგმილი? რა ჩაიშალა? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ **მირიან მირიანაშვილს**.

***– ამბობდით, რომ ის, რაც საქართველოში ბოლო დროს ხდება, რუსეთის ორგანიზებულია. კრემლს ვადამდელი არჩევნები ჩაეშალა?***

– შეიძლება ითქვას, რომ ჩაეშალა. ეს იყო აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული ოპერაცია, რომელშიც ჩართული იყო როგორც ხელისუფლება, ისე თითქმის მთელი ოპოზიცია. ეს იყო კიდევ ერთი რუსული სცენარი საქართველოში ხელისუფლების გადაბარების მიზნით.

იმისთვის, რომ გადაბარება მომხდარიყო მოსკოვის სურვილების შესაბამისად, უნდა დანიშნულიყო ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ეს დაანგრევდა აშშ-ის მიერ შემუშავებულ გრაფიკს, რომლის მიხედვით, ვაშინგტონი აქტიურდება. რუსეთის პოლიტტექნოლოგების გეგმები ეხებოდა მთელ რეგიონს და რეგიონში აშშ-ის დასუსტების მცდელობას. ამერიკის გრაფიკის დანგრევით რუსეთთან ერთად დაინტერესებული არიან თურქეთი და ირანი.

***– ორომტრიალი, რომელშიც „ქართული ოცნება“ და ბევრი ოპოზიციური პარტია მონაწილეობდა, ემსახურებოდა რუსეთის, თურქეთისა და ირანის ინტერესებს?***

– რასაკვირველია. ეს იყო მკვეთრად გამოხატული ანტიამერიკული მოქმედებების სერიალი და ვადამდელი არჩევნების პროვოცირება. ვადამდელი არჩევნები ჩვეულებრივი ამბავია უამრავ სახელმწიფოში, მაგრამ უმოტივაციო ვადამდელი არჩევნები გაუგონარი რამეა.

***– მოტივების შექმნა ხელოვნურად ხდებოდა?***

– ამ მოვლენებში ძალიან ბევრმა თავისუფლად მოაზროვნე ადამიანმა დაინახა დადგმის ნიშნები. სპექტაკლია დაპირებული კანონის ჩაგდება, მაჟორიტარების ამბოხი, ლამის ოპოზიციის გაერთიანება, უმრავლესობის დაშლა და პოლიტიკოსების ერთმანეთთან, ასევე ძალოვნებთან დაძგერება.

თურმე უმრავლესობის წევრებმა ახლა შეამჩნიეს, რომ „ქართული ოცნება“ დაპირებებს არ ასრულებს. ზოგს კი ახლა აეხილა თვალი იმაზე, რომ ხელისუფლება მონაწილეობდა პატრიარქის გადაყენებაში. ვიცოდი, რომ ექსპერტები, ანალიტიკოსები და ელექტრონული მედია ატარებდნენ რუსეთის პოლიტტექნოლოგების ხაზს. ბოლო



დროს ნანახმა მაინც ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა?

***– კომენტატორები სიტუაციას ამწვავებდნენ?***

– გამოჩნდა, რომ საზოგადოების ფართო წრე შეთანხმებულად მუშაობს და ამწიფებს რიგგარეშე არჩევნებს. ხდებოდა პოლიტიკური კრიზისის იმიტაცია. ეს ანალიტიკოსები გვარწმუნებდნენ დაუძლეველი კრიზისის არსებობაში. ეს ხალხი ვადამდელი არჩევნების აუცილებლობაში აჯერებდა ერთი მხრივ, საქართველოს საზოგადოებას, მეორე მხრივ, საგარეო პარტნიორებს.

ეს იყო ხელოვნური, შეთანხმებული და ყალბი კამპანია. ეს მარტო ჩემი კი არა, დასავლელი ანალიტიკოსების აზრია. ბოლო ხანს დადასტურდა საქართველოში რუსეთის ტოტალური პოლიტტექნოლოგიური ზეგავლენა მოვლენებზე.

***– 14 დეკემბრის მასშტაბური ევროპული ზეიმი რას ნიშნავდა?***

– ეს დღე ორგანიზატორებმა ნოემბერში დათქვეს საკვანძო თარიღად. ეს უნდა ყოფილიყო დაძაბულობის ფინალი. ერთი მხრიდან დიდ აქციას გამართავდა „ქართული ოცნება“, მეორე მხრიდან, ამას ხელს შეუშლიდნენ ნაცმოძრაობა და სხვები.

***– შეტაკება უნდა მომხდარიყო?***

– 14 დეკემბერს დაგეგმილი იყო შეჯახება. ეს ჩამოაყალიბებდა ახალ პოლიტიკურ რეალობას, რის შემდეგაც გამოცხადდებოდა პაუზა.

***– ამას გადავურჩით.***

– გადავურჩით სტრატეგიული მოკავშირეების ჩარევით. აშშ-ის საელჩომ გააფრთხილა ნაციონალური მოძრაობა, 14 დეკემბერს არ გაემართა მიტინგი და ის სხვა დღისთვის გადაეტანათ.

რუსული გეგმით, „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა სამოქალაქო დაპირისპირების მონაწილეები უნდა გამხდარიყვნენ. ამერიკელებმა წინა წლებშიც ბევრჯერ იხსნეს საქართველო დესტაბილიზაციისაგან. დარწმუნებული ვარ, 1991 წელს აშშ-ის საელჩო რომ ყოფილიყო საქართველოში, მაშინდელ სამოქალაქო დაპირისპირებასაც თავიდან ავიცილებდით.

დასავლეთში დეტალურად იციან, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია შეთანხმებულად იყვნენ ჩაბმული ანტიამერიკულ მოქმედებებში. მათი ინფორმაციით, ხელისუფლება ოპოზიციისთვის გზასაც კეტავდა.

***– ოპოზიცია გზას თვითონ ვერ ჩაკეტავდა?***

– მხარეები შეთანხმებული კი იყვნენ, მაგრამ ყველაფერში ერთმანეთს არ ენდობოდნენ. ოპოზიციაში შეეშინდათ, რუსთაველზე გზის გადაკეტვისთვის პასუხი არ მოგვთხოვონო. ხელისუფლებამ ეს თავის თავზე აიღო და ფსევდოდრამების მიმდინარეობისას გზა რამდენჯერმე თვითონ გადაკეტა. 13 დეკემბერსაც ჩაკეტილი იყო მოძრაობა. ამას რომ მხოლოდ კალაძე არ გააკეთებდა, ცხადია. ხელისუფლება ნაცმოძრაობას გარანტიებს და დაუსჯელობასაც შეჰპირდა.

დასავლეთში ფიქრობენ, რომ გზის გადაკეტვა რუსთაველზე ყოველთვის დაკავშირებულია პოლიტიკურ დესტაბილიზაციასთან. ამ ე. წ. ოპოზიციას ჰგონია, რომ თუ მედასავლეთეს დაირქმევს, ამერიკაში მაშინვე დაიჯერებენ და მოტყუვდებიან. ქართველმა პოლიტიკოსებმა არ იციან, რომ აშშ-ში აქვთ ინფორმაცია საქართველოზე. მაგალითად, სენატში რესპუბლიკური პარტიის უმრავლესობაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც ატარებს ონლაინ-მონიტორინგს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე.

***– ოპოზიცია სხვადასხვა ლოკაციაზე აქტივობას აანონსებს. ამავე დროს გრძელდება აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ ორგანიზებული მოლაპარაკებები საარჩევნო საკითხებზე. რუსეთის პოლიტტექნოლოგებს კიდევ რა გეგმები აქვთ?***

– დასავლელმა პარტნიორებმა მოლაპარაკებების ორგანიზება მოახდინეს დეესკალაციისა და კრემლის სცენარის ჩაშლის მიზნით. რიგგარეშე თემის მოკვდინების შემდეგ ოპოზიციის აქტიურობა და საპროტესტო პროცესების გაგრძელება ანომალიურია.

ამას თავისი მიზეზი აქვს. პუტინის თანაშემწე სურკოვს, რომელიც ამ ქართული პოლიტიკური დრამის ერთ-ერთი მთავარი რეჟისორი და სცენარისტია, გაუფუჭდა ურთიერთობა თავის შეფთან. ამის გამო სცენარში კორექტივები ვერ შევიდა. სურკოვი, ალბათ, დარჩება კრემლში, მაგრამ მას შეიძლება ჩამოართვან აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის, დონბასის კურატორისა და საქართველოში პოლიტიკური პროცესების არაფორმალური ორგანიზატორის ფუნქციები.

სურკოვის მიერ დირიჟირებულმა „ქართულმა ოცნებამ“ და ოპოზიციურმა ერთობამ საბოლოოდ მოახდინეს საკუთარი ნამდვილი სახის დემონსტრირება. პრორუსულ დამღას ისინი ვეღარ მოიცილებენ.

***– ვადამდელი არჩევნებისთვის დროც არ რჩება?***

– სცენარის მიხედვით, ვადამდელი არჩევნების დანიშვნის საკითხი ნოემბრის ბოლოს უნდა გადაწყვეტილიყო. ორგანიზატორებს არ უნდოდათ დაგვიანება მოახლოებული ახალი წლის გამო. მათ გეგმაში უკვე სერიოზული ჩამორჩენაა. რიგგარეშე არჩევნებს უნდა მოეტანა ახალი პოლიტიკური რეალობა. რუსეთისთვის სასურველი ახალი პოლიტიკური რეალობა გადაჰყვა რიგგარეშე არჩევნების ჩავარდნას. რუსებს ახლა რიგგარეშე არჩევნების საკითხის ბოლომდე მიყვანა კი არა, საკუთარი თავის შენიღბვა და ალიბი აღელვებთ.

***– ამ მოვლენებიდან თავის დაძვრენას ეცდებიან?***

– ბუნებრივია. პოლიტტექნოლოგიაში ალიბი მარტივად იქმნება. ამისათვის იკვეთება და იწირება მთავარი გმირი. ივნისის მოვლენების დროს გაიწირა ირაკლი ოქრუაშვილი. ახლა გმირის როლშია გიგა ბოკერია. ამიტომ არ გამოვრიცხავ, მის მიმართ დაიწყოს სამართლებრივი დევნა. თუ ეს მოხდა, რუსები ეცდებიან სხვა პოლიტიკურ რეალობაზე გადასვლას.

***– ე.ი. რუსები დაიწყებენ ახალი სქემის ამუშავებას საქართველოში?***

– დაიწყებენ, მაგრამ რუსების ტრიუმფალური სვლა გამორიცხულია. კრემლმა უკვე ბევრი მარცხი განიცადა. დაწყებული პროცესები ვერ ჩერდება იმის გამო, რომ პუტინი სურკოვს შემოსწყრა.

ამ სისტემური წარუმატებლობის ფონზე მოსჯილი გვაქვს კომიკური და აბსურდული პოლიტიკური პერიოდის გავლა. ასეთი მოვლენები გველის წინასაახალწოდაც და ახალი წლის პირველ კვარტალშიც.

ეს პროცესები რუსეთს ასევე ჩაუფლავდება და საქართველოში სულ სხვა რეალობა დადგება.

# თინა ბოკუჩავამ არჩილ თალაკვაძეს მონათა ბაზრის დირექტორი უწოდა

## ბიუროს სხდომა ცემა-ტყეპის ზღვართან მივიდა

– მონათა ბაზარი გახდა პარლამენტი. იმიტომ არ შემოვდივართ და იმიტომ ვართ ბოიკოტის რეჟიმში, რომ ღირსად არ გთვლით მონათა ბაზარში მივიღოთ მონაწილეობა.

ეს განცხადება გუშინ, 16 დეკემბერს, ნაციონალური მოძრაობის წევრმა თინა ბოკუჩავამ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გააკეთა.

ბოკუჩავამ პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა და პასუხი მოითხოვა, რატომ არ აძლევდა არჩილ თალაკვაძე 20 ივნისის მოვლენების შემდეგ დაკავებული პატიმრების მონახულების უფლებას.

– მონათა ბაზარი გახდა პარლამენტი. პარლამენტი კი არ არის, მონათა ბაზარია მართლა. იმიტომ არ შემოვდივართ პარლამენტში და იმიტომ ვართ ბოიკოტის რეჟიმში, რომ ღირსად არ გთვლით მონათა ბაზარში მივიღოთ მონაწილეობა.

აქ იმიტომ ვართ, რომ ჩვენი უფლებით ვისარგებლოთ და ივანიშვილის რეჟიმის პატიმრები მოვინახულოთ. აქ ბორკილებს რომ ათამაშებთ, ბატონო არჩილ და შოუებს დგამთ, იცით, რა უნდა გააკეთოთ? ციხეში უნდა შეგვიშვათ.

ქალბატონი სოფიო აქ რომ ზის ხოლმე და დღეს წაბრძანდა ციხეში, 6 თვე რატომ არ დაინტერესდა პოლიტპატიმრების ბედით? რატომ არ შემოუშვეს ზურაბ ბუდაღაშვილის და ბესიკ თამლიანის დედები? რატომ გვეჯიკავნენ სუსის წარმომადგენლების დავალებით რიგითები, სამ ქალს, ყავარჯნიან ქალს და ორი პატიმრის დედას არ გვიშვებდნენ პარლამენტში?

მერე ქალბატონი სოფიო კილაძის დავალებით გაიცა საშვი იმიტომ, რომ ჩვენ მეორე რანგის დეპუტატები და მოქალაქეები ვართ ყველა, ვინც არჩილ თალაკვაძე არ არის, სოფიო კილაძე არ არის და ვინც ბიძინა ივანიშვილს არ ემონება და ამ მონათა ბაზარში არ უნდა მონაწილეობის მიღება.



რა აკადრეთ გიორგი რურუას, რომელსაც იარაღი არცკი ჩაუდეთ, მერე მიიყვანეთ ადამიანი და უთხარით, რომ ეს იარაღი უნდა იყოს ის, რომელიც ჩაგიდეთო. დიახ, არცკი უნახავს ის იარაღი და ამ ადამიანთან არ მიშვებთ უკვე მრავალი კვირის მანძილზე თქვენ. არ მიშვებთ ბუდაღაშვილთან, მაჩალიკაშვილის ძმისშვილთან, – განაცხადა თინა ბოკუჩავამ.

მანამდე ბოკუჩავამ უშუალოდ პარლამენტის თავმჯდომარესაც მიმართა და მას მონათა ბაზრის დირექტორი უწოდა.

– აჩიკო, მანდატურის სამსახურის თანამშრომლების უკან რომ იმალები, მონათა ბაზრის დირექტორი ხარ, – მიმართა ბოკუჩავამ თალაკვაძეს.

თავის მხრივ, პარლამენტის თავმჯდომარემ ბოკუჩავა ეპატაჟის მოწყობაში დაადანაშაულა.

– მიკროფონის ჩართვის უფლებამოსილება რომ მხოლოდ თქვენ გაქვთ, არ ნიშნავს, რომ მხოლოდ თქვენ ილაპარაკებთ. თითი დაუქნიე ბიძინა ივანიშვილს. ეპატაჟი ხარ შენ, – მიმართა ბოკუჩავამ არჩილ თალაკვაძეს. თავის მხრივ თალაკვაძემ მას და „ევროპული საქართველოს“ წევრს სერგო რატიანს თავიანთი ადგილების დაკავებისა და „ღვედების შეკვრისკენ“ მოუწოდა.

ბოკუჩავას ამ გამოსვლამ უმრავლესობის წევრი მიხეილ ყაველაშვილი გააღიზიანა, რომელმაც დეპუტატს დამშვიდებისკენ მოუწოდა.

– კორექტულად ილაპარაკე ან გაჩერდი! გააჩერეთ, რა უფლება აქვს ასეთი ლაპარაკის? – განაცხადა ყაველაშვილმა.

მანვე ოპოზიციის წევრებს უთხრა, რომ ციხეში პატიმრების მოსანახულებლად მათ იმიტომ არ უშვებენ, რომ სუნი არ დააყენონ.

ამაზე რატიანმა და თინა ბოკუჩავამ უმრავლესობის წევრებს უპასუხეს, რომ სუნი ბიუროს სხდომაზე დგას. ამასთან, სერგო რატიანმა ყაველაშვილს ციხეში ერთად შესვლა შესთავაზა.

გარდა ამისა, მიხეილ ყაველაშვილმა სერგო რატიანს „კასრების საქმე“ შეახსენა. რატიანმა კი უმრავლესობას „რაფალიანცის საქმის გამპრავებლები“ უწოდა.

– რა გინდა, დაგარტყა მაინცდამაინც? – მიმართა ყაველაშვილმა რატიანს, რაზეც რატიანმა ასე უპასუხა:

– ფეხებსაც ვერ მომჭამ.

ბიუროს სხდომა რამდენჯერმე ცემა-ტყეპის ზღვართან მივიდა, მაგრამ ბოლოს ვითარება დასტაბილურდა და ხალხის რჩეულებმა მშვიდობიანად განაგრძეს საქმიანობა.

# გიგა ბოკერია: „ჩვენი ამოცანა ივანიშვილის და მისი ხროვის ხელისუფლებიდან ჩამოცილებაა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ეს ხდება არა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ სიმპათიის გამოხატულების გამო, ეს ქვეყნები, აშშ და ევროკავშირის ქვეყნები, არიან სტრატეგიულადაც და პრინციპულადაც დაინტერესებულები საქართველოს წარმატებით. მათ ამ ქვეყანაში ჩადებული აქვთ პოლიტიკური ინვესტიცია. ამიტომ, როდესაც ამ ქვეყნის დეფაქტო მმართველი ქვეყანას მიაქანებს უფსკრულისკენ, ეს მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

სწორედ ამიტომ აკეთებენ ამ განცხადებებს. ეს ორგანიზაციები, ქვეყნები და გაერთიანებები არც ამ ხელისუფლების მეგობრები ან ოპონენტები არ არიან, არც წინა ან იმის წინა ხელისუფლების, არამედ ისინი არიან საქართველოს მეგობრები, მათი პრინციპული, ღირებულებითი და პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარე.

***– ბატონო გიგა, ბუტაფორია ხომ არ არის დიალოგის ფორმატი, რომელიც დროდადრო იმართება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დასავლელი დიპლომატების მოდერატორობით? ყველა საკითხი, რაც განიხილეთ, ჩავარდა და ამ საკითხების ირგვლივ შეთანხმება ვერ ხდება.***

– არ გეთანხმებით. ჩემი აზრით, არასწორი დახასიათებაა საკითხის. მმართველ გუნდს უტიფრად ჰქონდა პოზიცია, რომ მოლაპარაკებებზე საერთოდ არ დაჯდებოდა, მაგრამ ის გახდა იძულებული, რომ დაჯდეს მოლაპარაკებების მაგიდასთან. ამბობდნენ, რომ არაფერს განიხილავდნენ, მაგრამ ახლა იძულებულები არიან, რომ ჩვენი შეთავაზების ერთ-ერთ კომპონენტს განიხილავენ ჩვენი საერთაშორისო მეგობრების ინიციატივით.

ბოლო შეხვედრაზეც რა ილაპარაკეს გარეთ, ეს არის ერთი საკითხი, მაგრამ შიგნით რა ილაპარაკეს და მათ რომ ითხოვეს დრო შემდეგ შეხვედრამდე, ეს საკითხის მეორე მხარეა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს არანაირ გარანტიას, რომ ამ ფორმატის მეშვეობით დადგება შედეგი, მაგრამ ეს ფორმატი და ამ სახის მოლაპარაკებები არის წნეხის ერთ-ერთი ვარიანტი.

თუ კიდევ უფრო გაშიშვლდებიან, კიდევ უფრო დაზიანდებიან თავად. ეს საზოგადოების ინტერესებშია, რომ მოლაპარაკებების ეს ფორმატი, რომელიც იმართება საერთაშორისო პარტნიორების ინიციატივით, უნდა გაგრძელდეს იქამდე, სანამ ხელისუფლება გონს არ მოეგება.

***– „ოცნება“ საზოგადოებასთან თამაშობს და იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ არ იღებს ოპოზიციის პოლიტიკურ თამაშში მონაწილეობას?***

– არ ვიცი, ამას მე ვერ გეტყვით. ეს ფსიქოანალიზი ჩემთვის უმნიშვნელოა. გარეთ რას და როგორ იტყვის თეა წულუკიანი, ეს ხომ არ არის განმსაზღვრელი?! მთავარი და არსებითი არის შედეგი. სანამ არ იქნება შედეგი, მანამ გაგრძელდება წნეხი.

შედეგი კი არის ის, რომ უკან წაიღოს ივანიშვილმა ის შეურაცხყოფა, რაც მან საზოგადოებას მიაყენა და მან პროპორციული არჩევნებისკენ უნდა გადადგას ნაბიჯი. ეს არის პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის გზა.

საბოლოო მიზანი არის არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა. რაც გვეხმარება ამ ამოცანის მიღწევაში, ეს არის ქვეყნისთვის კარგი.

***– გუბაზ სანიკიძემ განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილის გარეშე ცვლილებები რთული იქნება. ეთანხმებით სანიკიძის ამ პათოსს და თქვენც გგონიათ, რომ ერთ პიროვნებაზეა აგებული ქვეყნის მომავალი?***

– არც ერთ ცალკე აღებულ პერსონაში არ არის საქმე. თუ ერთ პერსონაზე ვახდენთ ფოკუსირებას, ეს არის ივანიშვილი, რომელიც ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენს და ამიტომ მოხდა ამ საკითხის ირგვლივ გაერთიანება ყველა შეუთავსებელი პოლიტიკური ჯგუფის. ამის შემდეგ საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, რომელ გუნდს მიანდობს ქვეყნის მართვას, რა პროპორციით და ა. შ.

ეს უნდა გადაწყდეს პროპორციულ არჩევნებში.

საქართველოს მოსახლეობის გადასაწყვეტია, რომელი პოლიტიკური ჯგუფის თუ ლიდერისკენ იხრება ამომრჩეველი. ახლა ნომერ პირველი პრობლემა უნდა იყოს ივანიშვილი და ეს ამ მიმართულებით არის კონსოლიდაცია და არა – ცალკეული ოპოზიციური ლიდერების მიმართულებით.

# გამომძიებელი კვიციანი: „გიგა ბოკერიასგან კონკრეტული პასუხები ვერ მივიღეთ“

## ბექა ბასილაია: „გამოძიებას 5 წელი ეძინა?“

გუშინ, 16 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის გიგა ბოკერიას დაკითხვის შემდეგ გამომძიებელმა ბექა კვიციანმა განაცხადა, რომ არაერთი დამატებითი კითხვის მიუხედავად, გამოძიებამ პასუხები ვერ მიიღო.

– საქმისთვის მინიჭებული გრიფის გამო კითხვებსა და მათ შინაარსზე ვერაფერს მოგახსენებთ. უამრავი კითხვა ჰქონდა გამოძიებას გიგა ბოკერიას მიმართ, თუმცა, სამწუხაროდ, მისგან კონკრეტული პასუხები ვერ მივიღეთ, რადგან მან ზოგადი ფრაზებით ისაუბრა, – განაცხადა კვიციანმა.

გამომძიებელმა ასევე განმარტა, რომ რადგან ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თანამდებობის პირთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლო ფაქტზე გიგა ბოკერია ერთხელ უკვე იყო გამოკითხული, მას გამოძიებამ ახალი კითხვები დაუსვა, რადგან დამატებითი დაკითხვისას ძველი გამოკითხვის დროს არსებული შეკითხვები არ მეორდება.

თავად გიგა ბოკერიამ დაკითხვის შემდეგ თქვა, რომ ახალი ვერაფერი გაიგო და არაფერი თქმულა ისეთი, რომ საქმე გრიფით „საიდუმლო“ შეიძლება იყოს.

გიგა ბოკერიას 15 დეკემბერს შეატყობინეს,



რომ პროკურატურაში გამოკითხვაზე უნდა მისულიყო, თუმცა მან მაგისტრი მოსამართლის თანდასწრებით გამოკითხვა მოითხოვა.

პოლიტიკოსმა დაკითხვაზე შესვლამდე თქვა, რომ აბსურდის გარდა, არაფრის მოლოდინი აქვს.

კომენტარი გიგა ბოკერიას ადვოკატმა ბექა ბასილაიამაც გააკეთა.

– გამოძიება რომ ამბობს, ჩავატარეთ საგამოძიებო მოქმედებებიო, თუ რაიმე ჩასატარებელი იყო, 2014-დან 2019 წლამდე გამოძიებას ეძინა? და მათი ჩატარების საჭიროება რამ წარმოშვა, თუ არა ბიძინა ივანიშვილის პირდაპირმა დავალებამ? – განაცხადა მან.

ადვოკატის თქმით, სამართლებრივი თვალსაზრისით, რასაც ბოლო დღეებია, პროკურატურა აკეთებს, პირდაპირი დანაშაულია.

– საქმეს ადევს გრიფი, საქმე შეეხება სახელმწიფო საიდუმლოებას და ამ დროს პროკურატურა გამომდგარია და აკეთებს საჯარო განცხადებებს. ამ დროს გამოძიება საუბრობს, რომ საქმეში გაუჩნდათ რაღაც ახალი გარემოება.

ეს უკვე საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციაა და როდესაც ამაზე ისინი საუბრობენ, ჩვენ არ გვიკვირს, რადგან ამ გრიფირებულ საქმეზე, ჯერ კიდევ 2013 წელს ბიძინა ივანიშვილი ტელევიზიებთან ჭორაობდა, ეს ყველას კარგად გვახსოვს.

შესაბამისად, ცინიკურია, როდესაც გამოძიება ჩვენ გვაფრთხილებს, რომ არ გავახმაუროთ საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია.

რაც შეეხება უშუალოდ საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მკაფიოდ შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: უშიშროების საბჭოს საქმიანობა, რასთან დაკავშირებითაც დღეს დაიკითხა გიგა ბოკერია, ჯერ კიდევ 2013-2014 წლებიდან პროკურატურას აქვს შესწავლილი და მკაფიოდ ჩანდა, რომ უშიშროების საბჭოს ქმედებებში არათუ რაიმე დანაშაულებრივი, არაკანონიერიც კი არ იკვეთებოდა. აქედან გამომდინარე, 2019 წლამდე, ვიდრე ხელახლა არ დააანონსეს დაჭერები – ჩვენ გვახსოვს ბიძინა ივანიშვილის ცინცხალი ინტერვიუ, როდესაც მან თქვა, რომ დაჭერები, რა თქმა უნდა, გაგრძელდება, – ამის გამოძახილია დღევანდელი პროცესი, რადგან არც ერთი ახალი კითხვა, განსხვავებით იმისგან, რაც 2014 წელს დაესვა გიგა ბოკერიას, უფრო მეტიც, არც ერთი ახალი გარემოება ამ გამოკითხვის დროს არ გამოვლენილა, – აღნიშნა ბასილაიამ.

მანვე უპასუხა კითხვას პროკურორის შესახებაც, რომლის თანახმადაც, ახალი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მერე მეორედ გახდა საჭირო ბოკერიას გამოკითხვა.

– გამოძიება რომ ამბობს, ჩავატარეთ საგამოძიებო მოქმედებებიო, უკაცრავად და, თუ რაიმე ჩასატარებელი იყო, 2014-დან 2019 წლამდე გამოძიებას ეძინა? ეს ხომ არასერიოზულია. ის, რომ თითქოს ჩაატარეს ახალი საგამოძიებო მოქმედებები, არის თითიდან გამოწოვილი მიზეზი, რომ ხელახლა წამოეწყოთ ეს საქმე ბოკერიას წინააღმდეგ.

აქ დგება კიდევ ერთი საკითხი და მინდა, რომ ვკითხოთ ეს გამოძიებას – ახალი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საჭიროება რამ წარმოშვა, თუ არა ბიძინა ივანიშვილის პირდაპირმა დავალებამ? თუ 5 წელი არ თვლიდნენ, რომ ეს საჭირო იყო, ახლა რატომ დადგა ეს საჭიროება? – იკითხა ბექა ბასილაიამ.

საქმე ეხება უშიშროების საბჭოს საქმიანობას, რომელზეც გამოძიება 2014 წელს დაიწყო.

გიგა ბოკერია უშიშროების საბჭოს მდივანი 2010-2013 წლებში იყო.

# ფონიჭალაში 2 მანქანა დაეჯახა ერთმანეთს – 2 ადამიანი დაშავდა



ფონიჭალაში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა, რის შედეგადაც ორივე ავტომობილის მძღოლი დაშავდა.

უწყების ინფორმაციით, დაშავებულები საავადმყოფოებში არიან გადაყვანილი.

აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს იმ პირის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს და რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

# პროკურორი ზვიად გუბელაძე: „ქიბარ ხალვაშის, ნინო ნიჟარაძისა და კობა ბექაურის დაკითხვას დაცვის მხარე დარღვევით ითხოვს“

ნიკა გვარამიას საქმის პროკურორის, ზვიად გუბელაძის, განცხადებით, ქიბარ ხალვაშის, ნინო ნიჟარაძისა და კობა ბექაურის დაკითხვას დაცვის მხარე სისხლის სამართლის საპროცესო მოთხოვნათა დარღვევით ითხოვს.

– სისხლის სამართლის საპროცედურო კოდექსი მხარეებს ავალდებულებს, რომ მათ უნდა წარადგინონ კონკრეტული დოკუმენტები, გამოკითხვის ოქმები, რომლითაც ისინი დაასაბუთებენ, რა ფაქტთან დაკავშირებით სურთ ამა თუ იმ მოწმის დაკითხვა.

სასამართლო პროცესზე მათ გააჟღერეს, რომ მათ არც ერთი დოკუმენტი არ აქვთ წარმოდგენილი, რის საფუძველზეც სურთ ამა თუ იმ მოწმის დაკითხვა.

სისხლის სამართლის პროცესი არ მიმდინარეობს ვარაუდებთან დაკავშირებით, ეს უნდა იყოს ოფიციალური დოკუმენტი, რომელსაც დაეყრდნობა სასამართლო. ჩვენი არგუმენტია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებია დარღვეული, როცა ისინი სხვადასხვა პირების დაკითხვაზე აპელირებენ, – განაცხადა გუბელაძემ.

ნიკა გვარამიას განცხადებაზე, თუ ვინაა აღნიშნულ საქმეში დაზარალებული, პროკურორი განმარტავს, რომ დაზარალებული რუსთავი 2-ია.

– აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდების მხარეს დადგენილება გამოტანილი აქვს და დაზარალებულად სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2 არის ცნობილი. დაზარალებულის წარმომადგენელმა თავი ცნო დაზარალებულად და განაცხადა, რომ ნიკა გვარამიას და კახაბერ დამენიას ქმედებით, რუსთავი 2-მა ზიანი განიცადა, – განაცხადა ზვიად გუბელაძემ.

შემდეგი სასამართლო სხდომა 23 დეკემბერს, 11:00 საათზე დაინიშნა.




გენერალურმა პროკურატურამ 6 სექტემბერს, რუსთავი 2-ის საქმეზე ბრალი ნიკა გვარამიას, ასევე რუსთავი 2-ის ყოფილ ფინანსურ დირექტორს კახა დამენიასა და „ინტერ მედია პლიუსის“ დირექტორს ზურაბ იაშვილს წაუყენა.

ნიკა გვარამიას ბრალად ედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით რუსთავი 2-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების გაფლანგვა, კომერციული მოსყიდვა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.

ნიკა გვარამიას ასევე ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

გვარამიას აღკვეთის ღონისძიების სახით 40.000-ლარიანი გირაო შეეფარდა, ამასთან, მას ქვეყნიდან გასვლის უფლება შეეზღუდა.

კახა დამენიას გამოძიება რუსთავი 2-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების დიდი ოდენობით მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვას ედავება, რაც ჩადენილი იქნა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

დამენიას აღკვეთის ღონისძიების სახით 50.000-ლარიანი გირაო შეეფარდა. მას ასევე, აეკრძალა სახელმწიფო საზღვრის დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე.

რაც შეეხება ზურაბ იაშვილს, მას ბრალად ედება კომერციული მოსყიდვა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება.

იაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით 50.000-ლარიანი გირაო აქვს შეფარდებული.

# სუსი გორა ღარიბაშვილის ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაკავებას არ ადასტურებს



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში აცხადებენ, რომ კასპის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვემო ჭალის მცხოვრები გორა ღარიბაშვილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფება, თუმცა მისი უკანონო დაკავების ფაქტი არ დასტურდება.

– ცხელი ხაზით მიღებული ინფორმაციით, აღნიშნული პირი ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფება, თუმცა მისი უკანონო დაკავების ფაქტი არ დასტურდება, – განუცხადეს სუს-ში „ინტერპრესნიუსს“.

მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ჭალის მცხოვრები, 96 წლის გორა ღარიბაშვილი ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო დააკავეს.

# თბილისის პოლიციაში კობა ლურსმანაშვილი და ენძელა მაჭავარიანი გამოიკითხნენ



პარლამენტის სხდომაზე გაურკვეველი ნივთიერების გაშვების საქმეზე თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში დეპუტატები კობა ლურსმანაშვილი და ენძელა მაჭავარიანი გამოიკითხნენ.

როგორც დეპუტატებმა გამოკითხვის დასრულების შემდეგ განაცხადეს, როგორც დაზარალებულებმა გამოძიებას მათ ხელთ არსებული ინფორმაცია მიაწოდეს.

კობა ლურსმანაშვილის თქმით, გამომძიებლები დაინტერესდნენ, თუ სად იმყოფებოდა კობა ლურსმანაშვილი 12 დეკემბერს იმ წუთებში, როდესაც პარლამენტის სხდომათა დარბაზში დაუდგენელმა პირებმა გაურკვეველი ნივთიერება დაასხეს.

დეპუტატი აცხადებს, რომ მან გამომძიებლებს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

კობა ლურსმანაშვილმა მომხდარი ტერორისტულ აქტად შეაფასა და განაცხადა, რომ მომხდართან დაკავშირებით კონკრეტულ პირებს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ.

– პარლამენტში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მიმდინარე სხდომის ჩაშლას ტერორისტული მეთოდებით, სწორედაც ამ ფაქტის გამოძიებას აწარმოებს თბილისის საგამოძიებო სამსახური. ერთი გახლავთ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, მეორე გახლავთ სახელმწიფო ორგანოზე მიტანილი იერიში და ხელყოფა, მისი მოქმედების შეჩერება და თუ მათ, ვინც ეს ჩაიდინა, ძალიან აინტერესებთ, შეუძლიათ გადაშალონ სისხლის სამართლის კოდექსი და ნახონ შესაბამისი მუხლი, რაც ტერორიზმის განმარტებას მოიცავს.

როგორც ვიცი, მომხდარზე პასუხისმგებლობა აიღო „სირცხვილიამ“. მე მიმაჩნია, რომ ეს ორგანიზაცია და მის გარშემო გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაციებიც არიან საქართველოს სირცხვილი.

იმ დღეს გახლდით პარლამენტში, მათ შორის ვარ დაზარალებულიც, რადგანაც ჩემთვის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ძალიან მძიმედ იმოქმედა, – აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

# შსს-ს 2 თანამშრომელს უფლებამოსილება შეუჩერდა



## შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

თბილისის „მწვანე სკოლაში“ მომხდარ ფაქტსა და შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე მიმდინარე გამოძიების დასრულებამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს I განყოფილების უფროსის მოადგილეს და ამავე განყოფილების გამომძიებელს, მათივე ინიციატივით, შეუჩერდათ უფლებამოსილება.

საგამოძიებო ღონისძიებებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ატარებს. შინაგან საქმეთა სამინისტროდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს უკვე გადაეგზავნა მოთხოვნილი მასალები. სამინისტრო ინსპექტორის სამსახურთან პროაქტიურ თანამშრომლობას განაგრძობს.

# სამეგრელოში უაქციზო თამბაქოს შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოვლინდა



სამეგრელოში უაქციზო თამბაქოს შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოვლინდა. ინფორმაციას ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს. უწყების ცნობით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამეგრელოს, გურიისა და ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ფოთში, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში, წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიასა და ფახულანში განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების შედეგად, უაქციზო სიგარეტის, ჯამში, 78.680 ღერის შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოავლინეს. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს საქონელი ჩამოერთვათ. საქმეთა მასალები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 241-ე მუხლის შესაბამისად, ქვემდებარეობით შესაბამის სასამართლოს გადაეგზავნა.

# თურქეთი ლიბიას სამხედრო დახმარებას გაუწევს



თურქეთმა, შესაძლოა, ლიბიის საერთაშორისოდ აღიარებულ მთავრობას სამხედრო დახმარება გაუწიოს, თუ ამას ტრიპოლი მოითხოვს. ამას ანკარასა და ტრიპოლს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ერთ-ერთი დებულება ითვალისწინებს.

გასულ თვეში ორმა ქვეყანამ ხელი მოაწერა უსაფრთხოების და სამხედრო ხელშეკრულებას და ამასთან კიდევ ერთ მომორანდუმს საზღვაო საზღვრების შესახებ, რამაც თურქეთ-საბერძნეთის ურთიერთობები დაძაბა. ოფიციალური ათენის ინფორმაციით, აღნიშნული ხელშეკრულება საერთაშორისო კანონმდებლობას არღვევს.

– ჩვენ დავიცავთ ლიბიისა და თურქეთის ინტერესებს ხმელთაშუა ზღვისპირეთში, – განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა ადგილობრივ ტელევიზიასთან ინტერვიუში.

თურქეთსა და ლიბიის ეროვნული თანხმობის მთავრობას შორის ნოემბრის ბოლოს, „უსაფრთხოებისა და სამხედრო თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი“ და ორივე ქვეყნისთვის საერთაშორისო სამართლით მინიჭებული უფლებების დაცვისათვის „საზღვაო ტერიტორიების უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი“ გაფორმდა. საპასუხოდ, საბერძნეთმა ქვეყნიდან ლიბიის ელჩი გააძევა.

# ნიკოლა სტერჯენი: „შოტლანდიას გაერთიანებულ სამეფოში ძალით ვერ დაგვტოვებთ“



– არ შეიძლება, შოტლანდია საკუთარი ნების წინააღმდეგ დაპატიმრებული იყოს გაერთიანებულ სამეფოში.

ამის შესახებ შოტლანდიის პირველმა მინისტრმა, შოტლანდიის ნაციონალური პარტიის ლიდერმა ნიკოლა სტერჯენმა „ბიბისის“ განუცხადა. მისივე თქმით, შოტლანდიის ნაციონალური პარტიის წარმატება არჩევნებში მას ანიჭებს მანდატს, რომ დამოუკიდებლობის საკითხზე ახალი რეფერენდუმი ჩაატაროს.

ნიკოლა სტერჯენმა ასევე აღნიშნა, რომ ბორის ჯონსონის უარი რეფერენდუმზე „ფუნდამენტურად არადემოკრატიულია“, ვინაიდან მან შოტლანდიაში სრული მარცხი განიცადა და 13 მანდატიდან 7 დაკარგა.

– მე მას პარასკევს ტელეფონით საუბრისას განვუცხადე, რომ ცდება, თუკი რეფერენდუმზე უარი საკითხის დასრულება ჰგონია, – განაცხადა შოტლანდიის პირველმა მინისტრმა.

– არ შეგიძლიათ, შოტლანდია საკუთარი ნების წინააღმდეგ დატოვოთ კავშირში. არ შეგიძლიათ, კარადაში გამოგვკეტოთ, გასაღები დაატრიალოთ და იმედი გქონდეთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება, – განაცხადა ნიკოლა სტერჯენმა.

ლონდონისგან გამოყოფის საკითხზე ახალი რეფერენდუმის ჩატარების პერსპექტივა მას შემდეგ გაჩნდა, რაც დიდ ბრიტანეთში ჩატარებულ არჩევნებში შოტლანდიის ნაციონალურმა პარტიამ შოტლანდიის 59 მანდატიდან 48 მოიპოვა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ინგლისის სოფელში ასეულობით მკვდარი შაშვი ჩამოვარდა



ბრიტანეთის კუნძულ ანგსლის მკვიდრმა თავისი სოფლის გზაზე ასეულობით მკვდარი შაშვი აღმოაჩინა.

ჰანა სტივენსი ექიმთან მიდიოდა, როდესაც დაინახა უამრავი ფრინველი, რომლებიც გზაზე რაღაცას კენკავდნენ და მის გარშემო დაფრინავდნენ. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, უკანა გზაზე მობრუნებულს, მას შაშვები უკვე მკვდარი დახვდა.

სტივენსმა ნანახის შესახებ თავის პარტნიორს, 41 წლის არქიტექტორ დეიდ ედვარდსს უამბო. მამაკაცმა თავიდან არ დაუჯერა, შემდეგ კი შემთხვევის ადგილისკენ გაემართა, რათა დახოცილი ფრინველები საკუთარი თვალით ეხილა.

ედვარდსის თქმით, გზაზე დაახლოებით 300 შაშვი ეყარა. მან 150-მდე დაითვალა და შემდეგ ანგარიში აერია. ზოგიერთი ჩიტი ჯერ ისევ ცოცხალი იყო. მამაკაცმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი ციდან ჩამოცვენილებივით გამოიყურებოდნენ.

ცხოველებისა და მცენარეების დაცვის სააგენტოს თანამშრომლებმა დახოცილი ფრინველები მოაგროვეს და ანალიზების ასაღებად გადაიტანეს. ისინი მათ კვლევას ჩაატარებენ, რათა გაარკვიონ, მოწამვლას ხომ არ ჰქონდა ადგილი.

# ქალმა მეუღლის მოშლის გამო ქმრის შიშით სხვისი ბავშვი მოიპარა



ტაილანდის ქალაქ პხანგნგას მცხოვრებმა ქალმა სხვისი ბავშვი მოიპარა, რათა ამით მეუღლისთვის დაემალა, რომ ფეხმძიმედ მყოფს ბავშვი დაეღუპა.

მიმდინარე წლის ნოემბერში 27 წლის შრივალაკ აკეტხამსატინს მუცელი მოეშალა და ქმრისთვის, რომელსაც ძალიან უნდოდა შვილი, ამის გამხელის შეეშინდა. გარკვეული დროის განმავლობაში ისე ისე აჩვენებდა თავს, თითქოსდა ისევ ფეხმძიმედ იყო. დეკემბერში ქალმა მეუღლეს განუცხადა, რომ საავადმყოფოში მიდიოდა და იქ ღამე დარჩებოდა. საავადმყოფოში მან ოჯახური წყვილი გაიცნო, რომელსაც ბავშვი ეყოლა. ქალმა მათი ნდობა მოიპოვა და მეორე დილით პალატის წინ ბავშვის გასეირნება შესთავაზა. ბავშვის მიღების შემდეგ ქალმა საავადმყოფო სასწრაფოდ დატოვა. მისი გაქცევა სათვალთვალო კამერამ გადაიღო. ქალს სახე ჩადრით ჰქონდა დაფარული, თუმცა ის ბუდისტი იყო და არა მუსლიმანი.

მოგვიანებით, იმავე დღეს, მათ სახლში პოლიცია მივიდა. მათ საავადმყოფოში ქალის დარჩენილი ხელჩანთა იპოვეს, რომელშიც ავტობუსის ბილეთი იდო და რომელზეც მისი სახლის მახლობლად მდებარე ავტოსადგური იყო მითითებული.

გაოგნებული მამაკაცის თვალწინ პოლიციელებმა ქალი დააპატიმრეს. მან ბავშვის მოტაცების ფაქტი აღიარა. ქალს ხუთ წლამდე პატიმრობა ემუქრება.

# პოლიციელებმა ღორის ხორცით სავსე კასრებში სამი მილიონი დოლარი აღმოაჩინეს

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატში პოლიციამ სატვირთო მანქანა გაჩხრიკა და კასრებში დაფასოებულ ღორის ხორცში სამი მილიონი დოლარი აღმოაჩინა. პოლიციის ოფიცრებმა დიდი სატვირთო ავტომობილი, რომელმაც მოძრაობის წესები დაარღვია, 85-ე ტრასაზე გააჩერეს. მანქანა ზოლებს შორის გადაადგილდებოდა და სხვა მანქანების მოძრაობას აფერხებდა. პოლიციელებმა სატვირთოს გაჩხრეკა გადაწყვიტეს და ამისთვის ის უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს. კასრებში, რომლებშიც ღორის ბეჭები ეწყო, ცელოფანში გახვეული ფულის შეკვრები იპოვეს, სულ სამი მილიონი დოლარი. სავარაუდოდ, ეს ფული ნარკოტიკების გასაღების შედეგად არის მიღებული. პოლიციელების აზრით, მანქანა მექსიკის საზღვრისკენ მიემართებოდა. პოლიციამ აღნიშნულ საქმეზე დაწყებულ გამოძიებაში იუსტიციის სამინისტრო ჩართო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# თსუ ახალ წელს ლიდერად ხვდება

**თსუ-დინამო 87:71**
**(23:18, 18:14, 25:18, 21:21)**

რადგან სუპერლიგაში გუნდების რაოდენობა კენტია, ამიტომ ერთი გუნდი ყოველ ტურში ისვენებს. ამიტომაც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა პირველი წრე ყველაზე ადრე დაასრულა. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია ლექსო ლაფანაშვილისა და ირაკლი ძიძიგურის გაწვრთნილი თსუ ახალ წელს პირველ ადგილზე შეხვედროდა. სტუდენტებმა მე-10 ტურის მატჩში მდევარი დინამო 87:71 დაამარცხეს და წრის ბოლო ტურში ნებისმიერი გუნდისთვის მიუწვდომელები არიან. თსუ-მ პირველი წრის 10 მატჩიდან 8 მოიგო და 2 დათმო.

უნივერსიტეტელებს საკმაოდ სოლიდური, 8 მატჩიდან 5 გამარჯვების მქონე დინამო ჰყავდა, რომელსაც დამაჯერებლად სძლია. თსუ-მ მრავალმხრივი და სწორი კალათბურთი ითამაშა. ამ მატჩში კარგად გამოჩნდა ის უპირატესობა, რასაც უნივერსიტეტელები დანარჩენ გუნდებთან ფლობენ და რის ხარჯზეც მიმდინარე სუპერლიგას ლიდერობენ. ესაა ძლიერი ფიზიკური მომზადება, დაბალანსებული შემადგენლობა ყველა რგოლში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – დისციპლინა.

თსუ-მ დინამოსთან მატჩი სწრაფ ტემპში, კონტრშეტევებით დაიწყო, რის ხარჯზეც სოლიდურ ლიდერობას მიაღწია (12:5), ხოლო როცა მეტოქე წამოეწია, ტაქტიკა შეცვალა და ბრძოლის ეპიცენტრად ფარქვეშეთი აქცია. აქ კი შეცვლაზე შემოსულმა გიორგი ტურძილაძემ და გიორგი კორსანტიამ ჰეგემონია დაამყარეს და 18:16 დაწინაურებული დინამოელები კვლავ უკან მოიტოვეს – 23:18 პირველი პერიოდის შემდეგ.

ბურთს კარგად ათამაშებდა სერბი ჯორჯე მილოსავლიევიჩი, რომელსაც ფრთიდან სანდრო სანაძე და დევიდ მაკფარლანდი ეხმარებოდნენ. ეს უკანასკნელი სწრაფი შესვლებით ქულებს უხვად იხვეჭდა. თსუ-ელებმა მესამე პერიოდი 25:18 მოიგეს და ბოლო შესვენებაზე 16-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ.

დინამო უბრძოლველად არ დანებებულა. მაიზერ რევაზაშვილის, ნოდარ გოგოძისა და ტაილერ უილიამსის შედეგიანობით ჩამორჩენა 6 ქულამდე შეამცირეს, თუმცა ლაფანაშვილის წუთშესვენება დროული აღმოჩნდა. თსუ-მ თამაში დაალაგა, დინამოელებს სასროლი სივრცეები შეუზღუდა, შეტევაში დევიდ მაკფარლანდმა, მილოსავლიევიჩმა და რიკი მედისონმა იხეირეს და ბოლოსწინა წუთზე უნივერსიტეტელთა ლიდერობა კვლავ 10 ქულას ასცდა. შეხვედრის ბედიც აქ გაირკვა. თსუ აუღელვებლად მივიდა გამარჯვებამდე და პირველი წრე ყველა გუნდზე ადრე და პირველ ადგილზე დაასრულა.

გამარჯვებულთაგან 22 ქულით ბომბარდირი გახდა მაკფარლანდი. 17 ქულით მედისონი გამოირჩა, ხოლო გიორგი ტურძილაძემ შეხვედრა 16 ქულითა და 8 მოხსნით დაასრულა. გიორგი კორსანტიას ანგარიშზე 8 ქულა და 10 მოხსნა დაგროვდა.

დინამოს 24 ქულით ტაილერ უილიამსმა ულიდერა. 22 ქულა დააგროვა მაიზერ რევაზაშვილმა, ხოლო ნოდარ გოგოძის ანგარიშზე 13 ქულა დაგროვდა.

**ოლიმპი-მგზავრები 76:73**
**(20:26, 16:18, 17:15, 23:14)**

ოლიმპმა აუტსაიდერი მგზავრები დაძაბულ ბრძოლაში – 76:73 დაამარცხა და ხსენებულ ადგილზე დამკვიდრდა. პირველ წრეში დარჩენილ 1 ტურში ოლიმპელებს ლიდერი თსუ-ს დაწევის შანსი არ აქვთ, თუმცა დიდი ალბათობით ახალ წელს სწორედ მე-2 ადგილზე შეხვდებიან.

მგზავრებმა წინა ტურში დინამო 41 ქულით გაანადგურა და ამ გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ახალწვეული ლეგიონერები – ლოველ ქაბილი და ჯოზეფ როკა გახლდნენ. სწორედ კანადელი მსროლელის, როკას ზეშედეგიანი თამაშის წყალობით მგზავრებმა პირველი პერიოდი დამაჯერებლად – 26:20 მოუგეს ოლიმპს და დიდი შესვენებისთვის უკვე 8 ქულით იყვნენ წინ. როკამ პირველ პერიოდში 17, ხოლო პირველ ნახევარში 24 ქულა ჩააგდო და მისი შემჩერებელი ოლიმპელთაგან ვერ მოინახა.

დიდ შესვენებაზე დიმიტრი ჯაკობოვმა და მისმა თანაშემწეებმა ოლიმპის სათამაშო ტაქტიკა შეცვალეს. აქცენტი როკას პერსონალურ მეურვეობაზე და დაცვის გამაგრებაზე გაკეთდა. ჩანაფიქრმა გაამართლა და მე-3 პერიოდში თამაში გათანაბრდა. რაკი როკა გააჩერეს, ოლიმპელებმა ჩამორჩენის გაბათილებას მიჰყვეს ხელი, რასაც ნელ-ნელა, მეთოდურად ახორციელებდნენ. მესამე ათწუთეულში ჯაკობოვის გუნდმა მხოლოდ 2 ქულა გააბათილა, ხოლო ბოლო პერიოდში დაცვა კიდევ უფრო გაამაგრა და მგზავრების შემტევებს მოქმედების არეალი მაქსიმალურად შეუზღუდა.

შედეგმა არ დააყოვნა და თამაშის დასრულებამდე სამიოდე წუთით ადრე, რევაზ როგავას სამქულიანით ანგარიში გათანაბრდა – 70:70. მგზავრების კალათბურთელები, რომლებიც ამ დრომდე, მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერობდნენ, მეტოქის ძლიერმა თამაშმა არია. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილი გუნდის წევრებმა გადამწყვეტ მომენტში, ხელსაყრელი სიტუაციიდან არაერთხელ ააცილეს ბურთი, რაც წაგებად დაუჯდათ. ოლიმპი მიდიოდა გამარჯვებისკენ და ეს კახა ჯინჭარაძის შედეგიანობით მოახერხა, რომელიც მთელი თამაშის განმავლობაში ფაქტობრივად შეუჩერებელი იყო.

ოლიმპმა საბოლოოდ 76:73 გაიმარჯვა და პირველი წრის 10 მატჩის შემდეგ 6 გამარჯვებით მე-2 ადგილზე დამკვიდრდა. ჯაკობოვის გუნდს გამარჯვებისკენ კახა ჯინჭარაძე გაუძღვა, რომელმაც შეხვედრა 33 ქულითა და 13 მოხსნით დაასრულა. 17 ქულა ჰქონდა კორი ჰოლდენს, ვის შემდეგაც ყველაზე შედეგიანი 7-ქულიანი დევიონ ტერნერი გახლდათ.

მგზავრებში 28 ქულით საუკეთესო იყო ჯოზეფ როკა, ანუ კანადელმა ლეგიონერმა მეორე ტაიმში მხოლოდ 4 ქულა მიითვალა. 18 ქულითა და 14 მოხსნით დაასრულა შეხვედრა ტაჯ სპენსერმა.

**ვეჰა-ცხუმ-აფხაზეთი 78:59**
**(18:23, 19:11, 23:17, 18:8)**

ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა ვერა ცხუმ-აფხაზეთს შეხვდა და 78:59 დაამარცხა. არადა, ზვიად ანთაძის გაწვრთნილ ცხუმ-აფხაზეთს თამაში ცუდად არ დაუწყია, პირველი პერიოდი 23:18 მოიგო და მეორეშიც ლიდერობდა. ვერელებმა თამაში დიდ შესვენებამდე დაალაგეს და მედგარი დაცვის ხარჯზე მეტოქეს ქულების მოპოვებისთვის სივრცეები შეუზღუდეს. ამან ხოშტარიას გუნდს შეტევაში გზა გაუხსნა და მეორე პერიოდის 19:11 მოგების შემდეგ ვერა დიდ შესვენებაზე ლიდერის ამპლუაში გავიდა – 37:34.

გაგრძელება მე-7 გვერდზე


# განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცებისგაჯანსაღებისცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ბითაძე ინდიანას დაუბრუნდა

## ქართველთა გუნდებმა მოიგეს

ნბა-ს განვითარების ლიგაში ერთდღიანი განათხოვრების შემდეგ, გოგა ბითაძე ინდიანა პეისერსს დაუბრუნდა. ქართველმა ცენტრმა შარლოტ ჰორნეთსის წინააღმდეგ კი ითამაშა, მაგრამ ისევ არასაკმარისი დროით.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ნეიტ მაკმილანმა მას 8 წუთი დაუთმო.

აღნიშნულ დროში გოგამ ერთადერთხელ შეუტია, ორქულიანი ჩააგდო და ნბა-ში 8-მატჩიანი „მშრალი“ სერია შეწყვიტა. მას აქტივში თითო მოხსნა-პასი და 2 დაფარებაც ჰქონდა.

ინდიანელებმა მეტოქე 107:85 დაამარცხეს. ესპანეთის ჩემპიონატის მე-13 ტურში გამარჯვება მოიპოვა თორნიკე შენგელიას ბასკონიამ, ქართველი ლეგიონერი კი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა. ბასკონიელებმა მურსიაში ადგილობრივი გუნდი 86:75 დაამარცხეს, რაშიც შენგელიას წვლილი უდიდესია.

შენგელიამ ორივე გუნდის რიგებში ყველაზე მეტი – 36 წუთი ითამაშა და 19 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა. ქართველმა მძიმე ფორვარდმა 9-დან 8 ორქულიანი და 3-ვე საჯარიმო ჩააგდო, 2 სამქულიანი ააცილა.

ბასკონიას 7 მოგება და 6 წაგება მოუგროვდა და 5-9 ადგილებს ინაწილებს, მომდევნო შეხვედრას კი შინ, სან პაბლო ბურგოსთან ჩაატარებს.

გიორგი შერმადინის ტენერიფე ანდორას ესტუმრა და მეტოქე 10 ქულით დაამარცხა – 86:76. ქართველ ცენტრს ყოფილი გუნდის წინააღმდეგ



ცუდად არ უთამაშია, თუმცა გაცილებით შედეგიანი იქნებოდა, 15 წუთის თავზე 5 პერსონალურის გამო მოედნიდან რომ არ გავარდნილიყო.

სასტარტო ხუთეულში მყოფ ქართველ ცენტრს არც ერთი სროლა არ გაუფუჭებია. გიორგიმ 6-დან 6 ორქულიანი ჩააგდო, ბურთი 3-ჯერ მოხსნა და ერთი შედეგიანი პასი გააკეთა. 15 წუთში გიორგის ანგარიშზე 12 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი იყო.

ტენერიფეს 13 მატჩში 8 მოგება დაუგროვდა და ლიგა ენდესაში მე-4 ადგილზეა. შერმადინის გუნდი მომდევნო ტურში ბექა ბურჯანაძის გრან კანარიას დაუპირისპირდება.

თავად ბურჯანაძის გრან კანარიამ ობრადარიოს უმასპინძლა და ქულეხვ შეხვედრაში 102:100 დაამარცხეს. გამარჯვებულის გამოვლენას 2 ოვერტაიმი დასჭირდა. მე-2 დამატებითი დროის დასრულებამდე 38 წამით ადრე ობრადარიოელებმა ანგარიში დაამრგვალეს – 100:100, თუმცა 13 წამში კანარელმა ჰარპერმა გამარჯვების ორქულიანი ჩააგდო და თავის გუნდს სეზონში მე-7 გამარჯვება მოაპოვებინა.

გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა ბექა ბურჯანაძემ: 27 წუთში 14 ქულა, 4 მოხსნა და 1 პასი. დუდამ 5 ორქულიანი და 3 სამიანი ისროლა და 2-2 ჩააგდო, რასაც 4-დან 4 საჯარიმო მიაყოლა.

გრან კანარიას 13 ტურის შემდეგ 7 მოგება აქვს.

ლიდერებთან ზედიზედ 3 მარცხის შემდეგ, დუდა სანაძის ოლივეირენშემ პორტუგალიის ჩემპიონატში გაიმარჯვა. ქართველი ლეგიონერის გუნდი აუტსაიდერ ტერსეირას შეხვდა და 39 ქულით – 110:71 დაამარცხა.

ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში იყო და 27 წუთში 18 ქულა, 3 მოხსნა და 4 პასი მოაგროვა. სანაძემ 6-დან 2 ორქულიანი, 6-დან 4 სამქულიანი (ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი) და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, ამდენივე პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 6-ჯერ დაჯარიმდნენ.

სანაძის გუნდი 8 მოგებითა და 4 წაგებით მე-4 ადგილზეა და პორტუგალიის ჩემპიონატის სახელოვან სამეულს (სპორტინგი, ბენფიკა, პორტუ) ჩამორჩება, მომდევნო მატჩს კი შინ, გალიტოსთან ჩაატარებს.

# შედეგები

## 15 დეკემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვულვზი-ტოტენჰემი ........................ 1:2
მანჩესტერი-ევერტონი .................... 1:1
არსენალი-სიტი ............................... 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 17 | 16 | 1 | 0 | 42-14 | 49 |
| 2.ლესტერი | 17 | 13 | 2 | 2 | 40-11 | 39 |
| 3.სიტი | 17 | 11 | 2 | 4 | 47-19 | 35 |
| 4.ჩელსი | 17 | 9 | 2 | 6 | 31-25 | 29 |
| 5.ტოტენჰემი | 17 | 7 | 5 | 5 | 32-24 | 26 |
| 6.მანჩესტერი | 17 | 6 | 7 | 4 | 25-20 | 25 |
| 7.შეფილდი | 17 | 6 | 7 | 4 | 21-16 | 25 |
| 8.ვულვზი | 17 | 5 | 9 | 3 | 24-21 | 24 |
| 9.არსენალი | 17 | 5 | 7 | 5 | 24-27 | 22 |
| 10.კრ.პალასი | 16 | 6 | 4 | 6 | 14-18 | 22 |
| 11.ნიუკასლი | 17 | 6 | 4 | 7 | 17-24 | 22 |
| 12.ბარნლი | 17 | 6 | 3 | 8 | 22-29 | 21 |
| 13.ბრაიტონი | 16 | 5 | 4 | 7 | 20-24 | 19 |
| 14.ბორნმუთი | 17 | 5 | 4 | 8 | 19-24 | 19 |
| 15.ვესტ ჰემი | 17 | 5 | 4 | 8 | 19-28 | 19 |
| 16.ევერტონი | 17 | 5 | 3 | 9 | 20-29 | 18 |
| 17.ასტონ ვილა | 17 | 4 | 3 | 10 | 23-30 | 15 |
| 18.საუთჰემპტონი | 17 | 4 | 3 | 10 | 18-36 | 15 |
| 19.ნორვიჩი | 17 | 3 | 3 | 11 | 18-35 | 12 |
| 20.უოტფორდი | 17 | 1 | 6 | 10 | 9-32 | 9 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბურგი-გლადბახი ................ 2:1
შალკე-აინტრახტი ........................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიფციგი | 15 | 10 | 3 | 2 | 41-16 | 33 |
| 2.გლადბახი | 15 | 10 | 1 | 4 | 31-18 | 31 |
| 3.დორტმუნდი | 15 | 8 | 5 | 2 | 37-19 | 29 |
| 4.შალკე | 15 | 8 | 4 | 3 | 26-18 | 28 |
| 5.ბაიერნი | 15 | 8 | 3 | 4 | 41-21 | 27 |
| 6.ფრაიბურგი | 15 | 7 | 4 | 4 | 24-18 | 25 |
| 7.ლევერკუზენი | 15 | 7 | 4 | 4 | 22-20 | 25 |
| 8.ვოლფსბურგი | 15 | 6 | 5 | 4 | 17-15 | 23 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 15 | 6 | 3 | 6 | 21-27 | 21 |
| 10.უნიონი | 15 | 6 | 2 | 7 | 19-20 | 20 |
| 11.აუგსბურგი | 15 | 5 | 5 | 5 | 24-28 | 20 |
| 12.აინტრახტი | 15 | 5 | 3 | 7 | 24-23 | 18 |
| 13.ჰერტა | 15 | 4 | 3 | 8 | 21-29 | 15 |
| 14.მაინცი | 15 | 5 | 0 | 10 | 20-38 | 15 |
| 15.ვერდერი | 15 | 3 | 5 | 7 | 23-35 | 14 |
| 16.ფორტუნა | 15 | 3 | 3 | 9 | 16-32 | 12 |
| 17.პადერბორნი | 15 | 2 | 3 | 10 | 18-33 | 9 |
| 18.კიოლნი | 15 | 3 | 2 | 10 | 14-30 | 11 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზანდჰაუზენი-ჰამბურგი ................ 1:1
ნიურნბერგი-კილი ........................ 2:2
ოსნაბრიუკი-დინამო ..................... 3:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-ვალიადოლიდი .................. 2:0
სელტა-მალიორკა ......................... 2:2
ესპანიოლი-ბეტისი ....................... 2:2
სევილია-ვილიარეალი .................. 1:2
ვალენსია-რეალი .......................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 16 | 11 | 2 | 3 | 43-20 | 35 |
| 2.რეალი | 16 | 10 | 5 | 1 | 33-12 | 35 |
| 3.სევილია | 17 | 9 | 4 | 4 | 21-17 | 31 |
| 4.ხეტაფე | 17 | 8 | 6 | 3 | 26-16 | 30 |
| 5.ატლეტიკო | 17 | 7 | 8 | 2 | 18-10 | 29 |
| 6.სოსიედადი | 17 | 8 | 4 | 5 | 28-20 | 27 |
| 7.ბილბაო | 17 | 7 | 6 | 4 | 19-12 | 27 |
| 8.ვალენსია | 17 | 7 | 6 | 4 | 27-24 | 27 |
| 9.გრანადა | 17 | 7 | 3 | 7 | 24-22 | 24 |
| 10.ოსასუნა | 17 | 5 | 8 | 4 | 22-20 | 23 |
| 11.ლევანტე | 17 | 7 | 2 | 8 | 22-26 | 23 |
| 12.ბეტისი | 17 | 6 | 5 | 6 | 24-29 | 23 |
| 13.ვილიარეალი | 17 | 6 | 4 | 7 | 30-25 | 22 |
| 14.ვალიადოლიდი | 17 | 4 | 7 | 6 | 14-20 | 19 |
| 15.ალავესი | 17 | 5 | 4 | 8 | 18-24 | 19 |
| 16.ეიბარი | 17 | 4 | 4 | 9 | 15-28 | 16 |
| 17.მალიორკა | 17 | 4 | 3 | 10 | 18-31 | 15 |
| 18.სელტა | 17 | 3 | 5 | 9 | 14-25 | 14 |
| 19.ლეგანესი | 17 | 2 | 4 | 11 | 12-28 | 10 |
| 20.ესპანიოლი | 17 | 2 | 4 | 11 | 12-32 | 10 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ესტრემადურა-მალაგა .................. 0:0
ოვიედო-კადისი ........................... 0:2
ლუგო-ხიხონი .............................. 1:2
ელჩე-ლას პალმასი ...................... 2:3
ფუენლაბრანდა-ალმერია ............. 2:2

**იტალია. სერია ა**

ვერონა-ტორინო ........................... 3:3
ბოლონია-ატალანტა ..................... 2:1
მილანი-სასუოლო ........................ 0:0
იუვენტუსი-უდინეზე .................... 3:1
რომა-სპალი ................................. 3:1
ფიორენტინა-ინტერი .................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 16 | 12 | 3 | 1 | 32-14 | 39 |
| 2.იუვენტუსი | 16 | 12 | 3 | 1 | 29-16 | 39 |
| 3.ლაციო | 15 | 10 | 3 | 2 | 36-15 | 33 |
| 4.რომა | 16 | 9 | 5 | 2 | 29-16 | 32 |
| 5.კალიარი | 15 | 8 | 5 | 2 | 31-19 | 29 |
| 6.ატალანტა | 16 | 8 | 4 | 4 | 38-25 | 28 |
| 7.პარმა | 16 | 7 | 3 | 6 | 23-19 | 24 |
| 8.ნაპოლი | 16 | 5 | 6 | 5 | 25-21 | 21 |
| 9.ტორინო | 16 | 6 | 3 | 7 | 21-24 | 21 |
| 10.მილანი | 16 | 6 | 3 | 7 | 16-19 | 21 |
| 11.ბოლონია | 16 | 5 | 4 | 7 | 25-27 | 19 |
| 12.ვერონა | 16 | 5 | 4 | 7 | 17-20 | 19 |
| 13.ფიორენტინა | 16 | 4 | 5 | 7 | 20-24 | 17 |
| 14.სასუოლო | 15 | 4 | 4 | 7 | 26-27 | 16 |
| 15.ლეჩე | 16 | 3 | 6 | 7 | 20-31 | 15 |
| 16.სამპდორია | 16 | 4 | 3 | 9 | 13-25 | 15 |
| 17.უდინეზე | 16 | 4 | 3 | 9 | 11-27 | 15 |
| 18.ბრეშა | 15 | 4 | 1 | 10 | 13-26 | 13 |
| 19.ჯენოა | 16 | 2 | 5 | 9 | 17-31 | 11 |
| 20.სპალი | 16 | 2 | 3 | 13 | 10-25 | 9 |

**იტალია. სერია ბ**

კოზენცა-პორდენონე ..................... 1:2
კრემონეზე-პერუჯა ...................... 2:1
სალერნიტანა-კროტონე ................. 3:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბორდო-სტრასბური ...................... 0:1
ლიონი-რენი ................................ 0:1
სტ.ეტიენი-პსჟ ............................ 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 17 | 14 | 0 | 3 | 39-9 | 42 |
| 2.მარსელი | 19 | 11 | 5 | 3 | 27-15 | 36 |
| 3.ლილი | 18 | 9 | 4 | 5 | 23-16 | 31 |
| 4.რენი | 17 | 9 | 3 | 5 | 23-17 | 30 |
| 5.ნანტი | 18 | 9 | 2 | 6 | 16-16 | 29 |
| 6.რეიმსი | 17 | 7 | 6 | 4 | 15-9 | 27 |
| 7.ბორდო | 18 | 7 | 5 | 6 | 28-21 | 26 |
| 8.ლიონი | 18 | 7 | 4 | 7 | 28-17 | 25 |
| 9.მონაკო | 17 | 7 | 4 | 6 | 26-25 | 25 |
| 10.ანჟე | 18 | 7 | 4 | 7 | 20-23 | 25 |
| 11.სტ.ეტიენი | 18 | 7 | 4 | 7 | 21-27 | 25 |
| 12.მონპელიე | 18 | 6 | 6 | 6 | 22-19 | 24 |
| 13.სტრასბური | 18 | 7 | 3 | 8 | 21-23 | 24 |
| 14.ნიცა | 18 | 7 | 3 | 8 | 25-27 | 24 |
| 15.ბრესტი | 18 | 5 | 7 | 6 | 21-20 | 22 |
| 16.დიჟონი | 18 | 4 | 5 | 9 | 12-20 | 17 |
| 17.ამიენი | 17 | 4 | 5 | 8 | 20-32 | 17 |
| 18.მეცი | 18 | 3 | 7 | 8 | 15-26 | 16 |
| 19.ტულუზა | 18 | 3 | 3 | 12 | 19-36 | 12 |
| 20.ნიმი | 17 | 2 | 6 | 9 | 12-29 | 12 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ემენი-სპარტა ............................... 2:0
ფეიენოორდი-პსვ ......................... 3:1
ალკმაარი-აიაქსი ......................... 1:0
ერაკლესი-უტრეხტი ..................... 1:3

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მორეირენშე-ბელენენსეში ........... 2:1
ჟილ ვისენტე-გიმარაეში ............... 2:2
ბრაგა-ფერეირა ........................... 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-იანგ ბოიზი ..................... 0:0
ლუცერნი-ბაზელი ......................... 2:1
სიონი-ქსამაქსი ........................... 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-რეინჯერსი ............... 0:2
სელტიკი-ჰიბერნიანი ................... 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-ვოლფსბერგერი ............ 1:1
ტიროლი-მატერსბურგი ............... 1:3
ლინცერი-შტურმი ........................ 3:3

შტურმის მე-3 გოლი ოთარ კიტეიშვილმა გაიტანა

**ბელგია. ა დივიზიონი**

სტანდარდი-ანდერლეხტი ............ 1:1
ბრიუგე-მეხელენი ........................ 3:0
ოსტენდე-გენტი ........................... 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლარისა-ატრომიტოსი ................... 1:2
ვოლოსი-პანიონიოსი ................... 2:1
ასტერასი-ოლიმპიაკოსი ............. 0:5
პანეთოლიკოსი-პაოკი ................ 0:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

გაზიანტეპი-ქაისერი ................... 3:0
სივასი-ფენერბახჩე ..................... 3:1
ბეშიქთაში-მალათია .................... 0:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

პლზენი-ტეპლიცე ....................... 1:1
სლავია-ჩელსკე ........................... 4:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პიასტი-ლოძი .............................. 2:1
კორონა-კრაკოვია ...................... 1:0
იაგელონია-ლეხია ...................... 3:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვორსკლა-კარპატი ..................... 2:1
დესნა-დინამო ............................ 0:1
დნიპრო-ოლექსანდრია .............. 1:2

**დანია. სუპერლიგა**

ჰორსენსი-სონდერიისკე .............. 2:1
ლუნგბიუ-სილკებორგი ............... 1:0
რანდერსი-ესბიერგი .................. 3:0

რანდერსის პირველი გოლი საბა ლობჟანიძემ გაიტანა

ბრონდბიუ-ჰობრო ....................... 1:1
მიდტიულანდი-ორხუსი .............. 1:3

# თსუ ახალ წელს ლიდერად ხვდება

*დასაწყისი მე-6 გვერდზე*

მე-3 პერიოდიდან ვერელები თამაშის სადავეებს მთლიანად დაეპატრონნენ და დასკვნით ათწუთეულამდე უპირატესობა 9 ქულამდე გაზარდა. ბოლო პერიოდში ცხუმელებს თამაშის შემობრუნების შანსი არ მისცემიათ. ვერამ ისე ჩაამთავრა შეხვედრა, რომ ლიდერობა საბოლოოდ 19 ქულამდე გაზარდა.

გამარჯვებულთაგან 20 ქულითა და 9 ქულით ვენდელ ლუისი გამოირჩა, საუკეთესო შედეგი კი ვახტანგ ქადარიამ დააფიქსირა – 19 ქულა, 11 მოხსნა, 3 დაფარება. 17 ქულითა და 7 მოხსნით დაასრულა შეხვედრა ბექა ჩიკვილაძემ.

ცხუმ-აფხაზეთში 20 ქულით საუკეთესო იყო ობრი მაკალპინი. 11 ქულა ჰქონდა გიორგი შარაბიძეს.

**კაკტუსი-ქუთაისი 82:76**
**(20:22, 19:17, 21:23, 22:14)**

დაძაბულ ბრძოლაში კაკტუსმა ქუთაისი 82:76 დაამარცხა და ცხრილში გაუთანაბრდა. ახლა ორივე გუნდს 4 მოგება და 5 მარცხი აქვს და ანალოგიური შედეგის მქონე ტიტებთან და რუსთავთან ცხრილში 6-9 ადგილებს იყოფენ.

შეხვედრა საკმაოდ დაძაბულად და თანაბრად წარიმართა. პირველი პერიოდი 2 ქულით ქუთაისმა მოიგო, ხოლო მეორეში ანალოგიური სხვაობით კაკტუსმა იმარჯვა. შესაბამისად, დიდ შესვენებაზე ანგარიში თანაბარი გახლდათ. მესამე ათწუთეულში კვლავ 2 ქულით ქუთაისელებმა იმარჯვეს და ბოლო პერიოდს მცირე ლიდერობით შეხვდნენ, თუმცა კაკტუსელებმა გადამწყვეტი სიტყვა დასკვნით წუთებზე თქვეს.

მთლიანობაში, ლიდერი 20-ჯერ შეიცვალა, მატჩის ბედი კი ბოლო წუთზე გადაწყდა. მნიშვნელოვანი იყო ლევან ლოლიშვილის 3-ქულიანი, რომლის შემდეგაც, თამაშის დასრულებამდე 1:15 წუთით ადრე კაკტუსი 74:70 დაწინაურდა. ამ გაქცევის შემდეგ არჩილ ჟღენტის გაწვრთნილი კაკტუსელები გამარჯვებამდე ზედმეტი გართულებების გარეშე მივიდნენ -82:76.

გამარჯვებულებს 18 ქულით, 11 პასითა და 6 მოხსნით ბრაიან უილიამსმა ულიდერა. 21 ქულით ბომბარდირი მიხეილ ჭოჭუა გახდა, ხოლო ჯასტინ ევერეტის ანგარიშზე 19 ქულა დაგროვდა.

ქუთაისში 18 ქულით, 7 პასითა და 5 მოხსნით საუკეთესო იყო შონ რაუნდთრი. 20 ქულა ჯეიმზ მილიკენმა, ხოლო 17 – მილოშ პაიოვიჩმა დააგროვეს.

**რუსთავი-ტიტები 66:71**
**(13:23, 14:20, 13:15, 26:13)**

მიმდინარე სუპერლიგის ყველაზე არასტაბილური გუნდი რუსთავია. ქვემოქართლელებს მიმდინარე ჩემპიონატში ზედიზედ 2 მატჩი არც მოუგიათ და არც წაუგიათ. სუპერლიგა წაგებით რომ დაიწყეს, მას შემდეგ, 9 თამაშია, რუსთაველები წაგებას და მოგებას ერთმანეთს უნაცვლებენ. წინა ტურში ქვემოქართლელებმა ოლიმპი იოლად დაამარცხეს და იმედი ჰქონდათ, ტიტებთან, რომელსაც ბოლო 4 მატჩი წაგებული ჰქონდა, ზედიზედ მე-2 გამარჯვებას იზეიმებდნენ – არ გამოვიდა. ლაშა-გიორგი გამყრელიძის გაწვრთნილმა ტიტებმა ნავსი გატეხა და 4 წაგების შემდეგ, გამარჯვების გემო რუსთავში გაიხსენა.

თბილისური გუნდის მოგება დამსახურებული იყო. ტიტების ყველა კალათბურთელმა, რომელიც მოედანზე გავიდა, კარგად ითამაშა და ბოლომდე დაიხარჯა. პირველი პერიოდის 23:13 მოგების შემდეგ, ტიტებმა მე-19 წუთისთვის 19-ქულიან ლიდერობას მიაღწია – 42:23.

მეორე ტაიმი ტიტებმა 16-ქულიანი ლიდერობით დაიწყო და მიუხედავად იმისა, რომ ოთო ფხაკაძისა და დენზელ ლივინგსტონის 3-ქულიანებით მასპინძლებმა ჩამორჩენა 11 ქულამდე შეამცირეს, მესამე პერიოდის მიწურულს რიჩარდ მათიაშვილისა და ნიკა მეტრეველის ტანდემის შედეგიანმა თამაშმა თბილისელებს სოლიდური ლიდერობა დაუბრუნა. ტიტები ბოლო შესვენებაზე 18-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ, რაც ფაქტობრივად გამარჯვებას ნიშნავდა.

ბოლო პერიოდში აკაკი დვალიშვილის დაცვასა და შეტევაში აქტიურობამ, ასევე აკაკი ლომოურის 3-ქულიანებმა რუსთაველებს ჩამორჩენა 7 ქულამდე შეამცირებინა (61:68), თუმცა კვლავ ამოქმედდა თბილისელთა ტანმორჩილი გამთამაშებელი – კორი სპენსი, რომელმაც ბურთი უბადლოდ გაათამაშა, რითაც დროც გაიყვანა და თან ქულების მოპოვების შესაძლებლობა თუ თანაგუნდელთა პასებით მომარაგების შანსს ხელიდან არ უშვებდა.

ტიტები დამაჯერებლად მივიდა გამარჯვებამდე – 71:66, რითაც 4-მატჩიანი დანავსული სერია გატეხა. გამარჯვებულებს 22 ქულითა და 8 მოხსნით სპენსმა ულიდერა. 13 ქულითა და 13 მოხსნით გამოირჩა ტრისტინ უოლე. ნიკა მეტრეველმაც ორმაგი დუბლი (12 ქულა, 10 მოხსნა) მიითვალა.

რუსთაველებში 16 ქულით ბომბარდირი ოთარ ფხაკაძე გახდა. დენზელ ლივინგსტონის ანგარიშზე კი ორმაგი დუბლი – 12 ქულა და ამდენივე მოხსნა დაგროვდა.

მატჩს ესწრებოდა ჩვენი ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ილიას ზუროსი, რომელიც საქართველოში ნაკრების წევრებისა და კანდიდატების დასაკვირვებლად, სამუშაო ვიზიტით იმყოფება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.თსუ | 10 | 8 | 2 | 869-769 | 18 |
| 2.ოლიმპი | 9 | 6 | 3 | 692-715 | 15 |
| 3.ვერა | 9 | 5 | 4 | 684-669 | 14 |
| 4.ბათუმი | 9 | 5 | 4 | 759-719 | 14 |
| 5.დინამო | 9 | 5 | 4 | 731-777 | 14 |
| 6.კაკტუსი | 9 | 4 | 5 | 658-679 | 13 |
| 7.რუსთავი | 9 | 4 | 5 | 726-691 | 13 |
| 8.ქუთაისი | 9 | 4 | 5 | 698-690 | 13 |
| 9.ტიტები | 9 | 4 | 5 | 614-654 | 13 |
| 10.აფხაზეთი | 9 | 3 | 6 | 690-736 | 12 |
| 11.მგზავრები | 9 | 2 | 7 | 691-713 | 11 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. უბანი თბილისში; 2. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 3. რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდი; 4. მოდელების სააგენტო თბილისში; 6. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე; 9. ისტორიული ქალაქი ჯავახეთში; 11. პიროტექნიკური ტკაცუნა; 15. ჯაშუშთა ქსელის ხელმძღვანელი უცხო ქვეყანაში; 16. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 17. ნათესავის, შთამომავლის ძველი ქართული სახელწოდება; 19. რაიმეს შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით; 21. სახელმწიფოს დროებითი მმართველი მონარქიულ სახელმწიფოში, მეფის მცირეწლოვანების გამო; 22. ოპერა „ლაკმე“-ს კომპოზიტორი.

**თარაზულად:** 5. კამერული მუსიკის ჟანრი; 7. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 8. მთიანეთი აფრიკაში; 10. მგალობელი ჩიტი; 12. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია; 13. პორტატული გეოდეზიური ხელსაწყო; 14. დანიელი მეზღაპრე; 18. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 20. ფულის ერთეული ერაყში; 23. პოემა „გველისმჭამელი“-ს პერსონაჟი; 24. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 25. სამკურნალო საცხი; 26. მაღალყელიანი რეზინის ფეხსაცმელი; 27. საქონელზე, პროდუქციაზე დაკრული სავაჭრო ნიშანი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. კანაფი; 8. ფლებიტი; 9. ეშელონი; 10. დიზურია; 12. მედიე; 13. აბელი; 14. კლიმაქსი; 19. მაგნიტი; 21. პარიზი; 23. ფლავი; 24. აპრილი; 25. ოლივინი; 26. ნისტგამი.

**შვეულად:** 1. აკლდამა; 2. კლიროსი; 3. ეტიუდი; 4. პრესა; 5. კანცლერი; 7. ფარ; 11. იუმორი; 15. ვაგზალი; 16. ნავახა; 17. ლამპა; 18. იფანი; 20. ტოკიო; 22. ზოლა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ბასილა; 2. გიიომ; 3. სიო; 4. მთა; 5. ორთი; 6. გეა; 7. ოპერა; 8. რე; 9. მტერი; 10. ლიმონი; 11. ისანი; 12. ბეი; 13. ცრემლი; 14. პან; 15. სი; 16. იდო; 17. რევიუ; 18. საიდუმლო; 19. კეფირი; 20. ასესორი; 21. კუ; 22. ვო; 23. ძუა; 24. ია; 25. ნიკ; 26. კობრა; 27. რულეტი; 28. ეგზეკუცია; 29. აია; 30. ალ; 31. რკო; 32. ეკლესია; 33. ბოკაჩო; 34. გო; 35. მაგნოლია. **სურათებზე:** მეი უესტი; სტივენ ჯერარდი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 დეკემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8647

ევრო — 3.2024

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8341

100 რუსული რუბლი — 4.6032

## ამინდის პროგნოზი 17 დეკემბერი







## 17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

## მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები

**ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი**

## მარიამ ქურდიანს „მასტერშეფი“ დაატოვებინეს



„მასტერშეფის“ მონაწილეს მარიამ ქურდიანს პროექტი დაატოვებინეს. ნახევარფინალამდე ერთი საკონკურსო ტურით ადრე მარიამი პირველად დადგა გავარდნის კანდიდატებს შორის საუკეთესო მეგობარ გაგა ვარდანაძესთან ერთად და ჟიურის გადაწყვეტილებით, შოუც დატოვა. ლევან კობიაშვილის, ლუკა ნაჭყებიას და კონსტანტინე თედელურის გადაწყვეტილებით, ნახევარფინალში გადავიდნენ დიმუ მენაბდე, გაგა ვარდანაძე, მართა ბარამიძე და ნუცა სურგულაძე.

## ოთარ ჯორჯიკია ლა სკალას თეატრში იმღერებს



ქართველი ოპერის მომღერალი ოთარ ჯორჯიკია ლა სკალას ოპერის თეატრში იმღერებს.

ინფორმაცია პაატა ბურჭულაძემ გაავრცელა:

— უბედნიერესი დღე მაქვს და ვფიქრობ, რომ მთელი საქართველოსთვის გამორჩეული ამბავი ხდება ლა სკალას თეატრში.

რამდენიმე საათში კიდევ ერთი ქართველი საოპერო მომღერალი ასახელებს ჩვენს ქვეყანას, ანნა ნეტრებკოსა და „ტოსკას“ პრემიერის სხვა ცნობილ სოლისტთა შორის, სცენაზე ქართველი ოთარ ჯორჯიკია იდგება!

მიხარია, რომ ფონდი „იავნანა“ ყოველთვის გვერდით ედგა მას, ჩემთვის კი შვილივით არის, გამორჩეული ტალანტის გარდა, ის ღირსეული კაცია. მინდა გზა დავულოცო და დიდი წარმატება ვუსურვო ჩვენს საყვარელ ოთოს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:

— სულ ტყუილად ვიყავით იმის წინააღმდეგი, რომ ჩვენს გოგონას პირსინგი გაეკეთებინა.

— რატომ?

— რაც ცხვირზე რგოლი გაიკეთა, მისი დილით ლოგინიდან წამოგდება და სკოლაში გაშვება გამიადვილდა.

•••

მამაკაცი იძახის:

— გოგონი, გოგონი, ტივტივას იქით ნუ გაცურავთ, სახიფათოა.

— სულელი, ეს ტივტივა კი არაა, მე ვცურავ ზურგზე გაწოლილი.

•••

ზანგი თეთრკანიანს ეუბნება:

— აი, მე, ზანგი, როდესაც დავიბადე, შავი ვიყავი, გავიზარდე შავი, როდესაც ვირუჯები, შავი ვრჩები, როდესაც მცხელა, ისევ შავი ვარ, ასევე, როდესაც მცივა — მაშინაც. შავი ვარ ავადმყოფობის დროს და, როცა მოვკვდები, ისევ შავი ვიქნები.

— მერე?

— აი, თქვენ, თეთრკანიანები, იბადებით ვარდისფერები, როდესაც ირუჯებით, ყავისფერი ხდებით, როდესაც გცხელათ, წითელი ფერი გედებათ, როდესაც გცივათ, ლურჯდებით, როდესაც ავად ხართ, მწვანდებით, ხოლო როდესაც კვდებით, ნაცრისფერი ხდებით.

— მერე, რა გაინტერესებს?

— რა და ამ ყველაფრის შემდეგ ჩვენ რატომ გვეძახით ფერადკანიანებს?

## დემნა გვასალიას ემა უოტსონმა მადლობა გადაუხადა



ქართველ დიზაინერ დემნა გვასალიას „ჰარი პოტერის“ ვარსკვლავმა ემა უოტსონმა საჯარო მადლობა გადაუხადა.

ამის მიზეზი ინგლისელი მსახიობისთვის დემნას მიერ შეკერილი ერთ-ერთი კაბა გახდა, რომელიც ემამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაზე მოირგო.

დემნას მიერ შექმნილი შავი კაბა, რომელიც ჯერ გაყიდვაში არ არის, პირველად სწორედ ემა უოსტონმა ჩაიცვა.

## ჯენარო გატუზო: „ბარსელონა ვერ შეგვაშინებს“



ნაპოლის მთავარმა მწვრთნელმა ჯენარო გატუზომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ბარსელონასთან დაპირისპირებაზე პირველი კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მის გუნდს არავისი არ ეშინია:

— ბარსელონა, რა თქმა უნდა, მრისხანე მეტოქეა და ჩვენ ვიცით, რა რთული მატჩები გველის, მაგრამ ნაპოლის არავისი არ ეშინია. ჩვენ გვაქვს ძლიერ გუნდებთან თამაშის გამოცდილება და ჩემპიონთა ლიგაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ნაპოლი პირველ შეხვედრას იტალიაში გამართავს, ხოლო განმეორებითი მატჩი კი უკვე მარტში ბარსელონაში ჩატარდება.

## კარიმ ბენზემა: „ლა ლიგის მოგება ძალიან მინდა“



მადრიდის რეალის ფორვარდმა კარიმ ბენზემამ ვალენსიასთან შეხვედრაში ბოლო წუთზე შეძლო ანგარიშის გათანაბრება და თავის გუნდს ფრე მოუტანა.

მატჩის შემდეგ ბენზემამ განაცხადა, რომ ეს ქულა მნიშვნელოვანი იყო ბარსელონასთან შეხვედრის წინ:

— მიხარია, რომ არ წავაგეთ, თუმცა ჯობდა, მოგვეგო, მაგრამ ვალენსია ძალიან რთული მეტოქეა. ბარსელონასთან აუცილებლად კარგი შედეგი უნდა ვაჩვენოთ, რადგან ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ეს მნიშვნელოვანი იქნება. მინდა, რომ წელს ლა ლიგა რეალმა მოიგოს“.

## პსვ-მ მარკ ვან ბომელი გაათავისუფლა



ჰოლანდიურმა გრანდმა პსვ ეინდჰოვენმა მთავარი მწვრთნელი მარკ ვან ბომელი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ამის მიზეზი ფეიენორდთან მარცხი იყო.

ზოგადად გუნდი წელს ცუდ შედეგებს აჩვენებს და მან ევროპის ლიგაზე ჯგუფიდან გასვლაც ვერ შეძლო.

გარდა ამისა, პსვ ჰოლანდიის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზეა და ლიდერს 10 ქულით ჩამორჩება. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ დაიკავებს პსვ-ს მთავარი მწვრთნელის თანამდებობას.

## ემილიო ბუტრაგენიო: „სიტისთან შესანიშნავ მატჩებს ვიხილავთ“



მადრიდის რეალის სპორტულმა დირექტორმა ემილიო ბუტრაგენიომ განაცხადა, რომ მანჩესტერ სიტისთან დაპირისპირება რეალისთვის დიდი გამოწვევაა და მაყურებელი შესანიშნავ მატჩებს იხილავს:

— გამიხარდა, რომ სიტის შევხვდით, რადგან ეს პირველ რიგში ძალიან სანახაობრივი დაპირისპირება იქნება. ჩვენ რეალი ვართ და ნებისმიერ მეტოქესთან მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა ვითამაშოთ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ზიდანი გვარდიოლას წინააღმდეგ — ლიგაზე გუნდები დაწყვილდნენ



შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა. ტურნირის ჯგუფური ეტაპის 8 საუკეთესო გუნდი განთესილი იყო, 8 მეორეადგილოსანი კი — განუთესავი. მერვედფინალში ერთმანეთს ასევე ვერ შეხვდებოდნენ ერთი ასოციაციის წარმომადგენელი კლუბები და ის გუნდები, რომლებიც ერთ ჯგუფში გამოდიოდნენ.

კენჭისყრის შედეგად გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ:

დორტმუნდი-პსჟ; რეალი-მანჩესტერ სიტი; ატალანტა-ვალენსია; ატლეტიკო-ლივერპული; ჩელსი-ბაიერნი; ლიონი-იუვენტუსი; ტოტენჰემი-ლაიფციგი; ნაპოლი-ბარსელონა.

პირველი მერვედფინალური მატჩები 18, 19, 25 და 26 თებერვალს ჩატარდება, საპასუხოები კი — 10, 11, 17 და 18 მარტს.

უეფას შტაბ-ბინაში ევროპა ლიგის მე-16 ფინალური ეტაპის წილისყრაც გაიმართა.

ჩვენთვის უფრო საინტერესო ის იყო, რომ დავით ხოჭოლავას შახტარს ბენფიკა შეხვდა, ხოლო გიორგი ჩაკვეტაძისა და გიორგი ქვილითაიას გენტს მეტოქედ რომა ერგო.

კენჭისყრის შედეგად გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ:

ვულვზი-ესპანიოლი; სპორტინგი-ბაშაქშეჰირი; ხეტაფე-აიაქსი; ლევერკუზენი-პორტუ; კოპენჰაგენი-სელტიკი; აპოელ-ბაზელი; კლუჟი-სევილია; ოლიმპიაკოსი-არსენალი; ალკმაარი-ლასკი; ბრიუგე-მანჩესტერ იუნაიტედი; ლუდოგორეცი-ინტერი; აინტრახტი-ზალცბურგი; შახტარი-ბენფიკა; ვოლფსურგი-მალმიო; რომა-გენტი; რეინჯერსი-ბრაგა.

პირველი მატჩები 20 თებერვალს გაიმართება, განმეორებით — 27 თებერვალს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ასტროპროგნოზი

### 17 დეკემბრისათვის



**ვერძი** — პრობლემების დაძლევაში დაბრკოლებები შეგხვდებათ, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურები უნდა ჩამოყაროთ. სამაგიეროდ, სიყვარულში გიმართლებთ. **კურო** — ემოციები მოთოკეთ, ნერვებს ნუ აჰყვებით. ახალი საქმის დაწყება დღეს არ ღირს. ნურაფერს დაგეგმავთ. **ტყუპები** — ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მამაკაცმა ტყუპებმა ზედმეტი ინიციატივის გამოვლენისაგან თავი შეიკავეთ. ქალებს ვარსკვლავები სტუმრად წასვლას ურჩევენ. **კირჩხიბი** — სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი დღეა. ახალი ნაცნობისგან სიურპრიზს ელოდეთ. ოჯახის წევრებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **ლომი** — დამშვიდდით, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. არასაჭირო კონტაქტებისგან დღეს თავი შეიკავეთ. **ქალწული** — დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლე გელით. გრძნობებს აჰყევით და ისე იმოქმედეთ. **სასწორი** — კრიტიკული დღეა. შესაძლოა, წვრილმან საოჯახო პრობლემებს შეეჯახოთ ან ფინანსურ სიძნელეებს გადააწყდეთ. საყიდლებზე წასვლა ან სხვა კომერციული ოპერაციები სხვა დროისათვის გადადეთ. **ღრიანკალი** — დაისვენეთ მშვიდ გარემოში. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. განმარტოება დიდ სულიერ სიმშვიდეს მოგგვრით. **მშვილდოსანი** — ჰარმონიული დღეა. თამამად იყავით, ყველაფერი თქვენ სასარგებლოდ მოქმედებს, თუმცა, ზომიერების დაცვაც არ გაწყენთ. **თხის რქა** — დაწყებული საქმის დამთავრებას სამომავლოდ ნუ გადადებთ. პირად ცხოვრებაში ყველაფერი ბრწყინვალედ გაქვთ. **მერწყული** — საკმაოდ გაგიძლიერდებათ აურა, შინაგანი პოტენციალი. პირადი მომხიბვლელობის წყალობით წარმატებას იოლად მიაღწევთ. **თევზები** — დღეს, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გაკვეთილი მიიღოთ. მიწაზე დაეშვით და მოვლენები რეალურად შეაფასეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ათი მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 2. საქართველოს ყველაზე წყალუხვი მდინარე; 3. ქვის ხავსი; 5. წრის ნაწილი; 6. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 10. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 12. ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 14. აეროპორტი ქაიროში; 15. ტროპიკული პალმის ნაყოფი, ინდის ხურმა; 16. რაიმეს ზედაპირის ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა.

**თარაზულად:** 1. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 4. მძიმე გარდამავალი პერიოდი; 7. ჰოლივუდის კინორეჟისორი, სამი ოსკარის ლაურეატი; 9. საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემი“-ს მეკარე; 11. საადგილმამულო საკრედიტო დაწესებულება ძველად საქართველოში; 12. ქართველი ფრენბურთელი მამაკაცი, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. სისხლის შენადედი სისხლძარღვებში; 17. პენალტი ჰოკეიში; 18. ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 19. დამუშავებული ალმასი; 20. გეომეტრიული ფიგურა.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

